პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

სამშაბათი,
26
იანვარი
1937 წ.
№ 20 (4822)

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო.

დ ღ ე ს   გ ა ზ ე თ შ ი ა:

- — უსაზიზღრესნი საზიზღართა შორის („პრავდის" მოწინავე).
- — გუშინ თბილისში დაბრუნდა ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის კოლექტივი.
- — ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი.
- — გავანადგუროთ სამშობლოს მოღალატენი, ფაშიზმის ხიზნლიანი ქოფაკები!
- —საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში.

უცხოეთში:

- —ესპანეთის ფრონტებზე.
- — მეამბოხენი გერმანიიდან და იტალიიდან მოელიან დამხმარე ძალებს.
- — ასანიას სიტყვა ვალენსიაში.
- — მთავრობის კრიზისი იაპონიაში.
- — იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა გადადგეს.
- — იაპონიის მთავრობის შედგენა დაევალა უგაკის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაზიზღრესნი საზიზღართა შორის

გუშინ დაიწყო ხალხის მტრების, სამშობლოს მოღალატეების, დივერსანტების, ჯაშუშებისა და მკვლელების ტროცკისტული ბანდის გასამართლება. ჩვენ ვაქვეყნებთ საბრალდებლო დასკვნას ტროცკისტული „პარალელური ცენტრის" მონაწილეთა საქმეზე, რომელთა საქმენი თავისი სისაძაგლით აღემატებიან ყველაფერს, რაც დღემდე ისტორიამ იცოდა.

შემზარავია პიატაკოვის, რადეკის, სოკოლნიკოვის, სერებრიაკოვის, დანარჩენი ბრალდებულებისა და მათი ხროვის საერთო ატამანის—ტროცკის დანაშაულნი, გამოაშკარავებული და დამტკიცებული წინასწარი გამოძიების დროს. უდავო დამამტკიცებელი საბუთის სიმძიმის ქვეშ თვითონ ბრალდებულებმაც ვერ უარჰყვეს თავისი დანაშაული —ისინი გამოტყდნენ ამ დანაშაულში და მტყუნდებიან დოკუმენტებით, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებით და მოწმეთა ჩვენებით.

მათ უღალატეს სამშობლოს, დაისახეს რა თავის მთავარ ამოცანად **საბჭოთა მთავრობის ძალდატანებითი დამხობა, რათა სსრ კავშირში არსებული სოციალისტური წყობილება შეეცვალათ კაპიტალისტური წყობილებით.**

რადეკმა და პიატაკოვმა აღიარეს, რომ ტროცკის დირექტივებში, რომლებიც მათ სავსებით მიიღეს და იზიარებდნენ, კაპიტალიზმის რესტავრაცია საფუძველთა საფუძველი იყო.

„მე და პიატაკოვი,—აჩვენებს დაკითხვის დროს რადეკი,—იმ დასკვნამდე მივედით, რომ ეს დირექტივა აჯამებს ბლოკის მუშაობის შედეგს, ყველაფერს ბოლომდე ამბობს და ფრიად მწვავე ფორმით აყენებს იმ საკითხს, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ხელისუფლება ყველა გარემოებაში შეიძლება იყოს მხოლოდ კაპიტალიზმის რესტავრაციის ხელისუფლება".

ხოლო ტროცკისტული „პარალელური ცენტრის" მეორე მონაწილემ ბანდიტმა სოკოლნიკოვმა, ტროცკის პროგრამის „დეტალიზებისას" დაკითხვის დროს აჩვენა:

„ეს პროგრამა ითვალისწინებდა ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის პოლიტიკაზე ხელისაღებას და, როგორც ამის შედეგს, სოფლად წვრილი მეურნეობის საფუძველზე კაპიტალიზმის აღმავლობას, რომელიც მრეწველობის კაპიტალისტურ ელემენტებთან შეერთებით განვითარდებოდა კაპიტალისტურ რესტავრაციად სსრ კავშირში".

მათ უნდოდათ წაერთვათ სსრ კავშირის მშრომელებისათვის სოციალისტური რევოლუციის ყველა მონაპოვარი. მათ, სამგზის საზიზღარ ტროცკისტულ არამზადებს, უნდოდათ მოესპოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მიწა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გადასცა კოლმეურნეობებს უსასყიდლოდ სამუდამო სარგებლობაში, საბჭოთა მიწა, რომელზედაც საკოლმეურნეო წყობილება იფურჩქნება, — ტროცკისტებს უნდოდათ წაერთვათ გლეხებისათვის, დაებრუნებიათ მემამულისა და კულაკისათვის.

მათ უნდოდათ უცხოეთის კაპიტალისტებისათვის მიეცათ ჩვენი სისხლით მოპოვებული და ჩვენი შრომით აშენებული სოციალისტური ინდუსტრია. მათ უნდოდათ კვლავ დაედგათ სსრ კავშირის მშრომელებისათვის კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღელი. მათ უნდოდათ უკან, კაპიტალიზმისაკენ მიებრუნებინათ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრება, რათა როგორც ძველად, 1917 წლის ოქტომბრამდე იყო, იქ ებატონა მემამულესა და კულაკს — სოფლად, მეფაბრიკესა და ვაჭარს —ქალაქად.

ყველა მშრომელისათვის საძულველ და საზიზღარ ტროცკისტებს უნდოდათ თავსმოეხვიათ სსრ კავშირის ხალხებისათვის თავისი ძალაუფლება უცხოეთის ხიშტების დახმარებით. ამის შესახებ საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ და შეთანხმებებს სდებდნენ გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმის წარმომადგენლებთან ხროვის ატამანი ტროცკი — საზღვარგარეთ და მისი დამქაშები — საბჭოთა კავშირში.

ასე, სოკოლნიკოვი, როგორც საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე იყენებდა, რა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, ტროცკის მითითებებით საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდა ერთი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელთან. ანალოგიური მოლაპარაკებას მეორე უცხო სახელმწიფოს სამხედრო ატაშესა და პრეს-ატაშესთან აწარმოებდა რადეკი. ბოლოს, პიატაკოვის საშუალებით ტროცკისტული ცენტრი ინფორმირებული იყო აგრესორებთან ტროცკის მოლაპარაკებისა და შეთანხმებათა მთელი სისტემის შესახებ. აი როგორია პირობები ტროცკის შეთანხმებისა გესთან — ჰიტლერის მოადგილესთან გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხაზით:

„1) გარანტირებულ იქნას საერთო კეთილ-სასურველი დამოკიდებულება გერმანიის მთავრობასთან და აუცილებელი თანამშრომლობა მასთან საერთაშორისო ხასიათის უმნიშვნელოვანეს საკითხებში;

2) დათანხმება ტერიტორიულ დათმობებზე;

3) დაშვებულ იქნან გერმანელი მეწარმენი, კონცესიების ფორმით (ან რაიმე სხვა ფორმით), ისეთ საწარმოთა საექსპლოატაციოდ საბჭოთა კავშირში, რომლებიც წარმოადგენენ გერმანიის მეურნეობის აუცილებელ ეკონომიურ დამატებას (ლაპარაკი იყო რკინის მადანზე, მარგანეცზე, ნავთზე, ოქროზე, ხეტყეზე და ა. შ.)."

ხოლო წერილში რადეკისად ტროცკი სწერდა:

„...აუცილებლად მოგვიხდება წავიდეთ ტერიტორიულ დათმობებზე... **მოგვიხდება დავუთმოთ იაპონიას პრიმორიე და პრიამურიე, ხოლო გერმანიას—უკრაინა.**

...ჩვენ მოგვიხდება დავუთმოთ იაპონიას სახალინის ნავთი და მივცეთ მას გარანტია, რომ მივაწოდებთ ნავთს ამერიკასთან ომის შემთხვევაში. ჩვენ უნდა დავუშვათ იგი აგრეთვე ოქროს საექსპლოატაციოდ.

ჩვენ უნდა დავთანხმდეთ გერმანიის მოთხოვნილებაზე, რომ არ გავუწიოთ მას წინააღმდეგობა დუნაის ქვეყნებისა და ბალკანეთის დაპყრობაში და არ შევუშალოთ ხელი იაპონიას ჩინეთის დაპყრობაში..."

რას ნიშნავს ეს პუნქტები პროგრამისა, რომლის განსახორციელებლად მუშაობდა საზიზღარი ტროცკისტული ხროვა? ეს პუნქტები იმას ნიშნავს, რომ ტროცკისტებს უნდოდათ დაენაწილებინათ საბჭოთა კავშირი და მოექციათ იგი გერმანიისა და იაპონიის დაპყრობითი საგარეო პოლიტიკის ფარვატერში. ისინი იმას ნიშნავს, რომ ტროცკისტებს უნდოდათ გაეხადათ ჩვენი სამშობლო წასალეკად და საძარცვავად, გადაექციათ იგი გერმანიისა და იაპონიის იმპერიალიზმის კოლონიად. ტროცკისტული ბანდა ისწრაფოდა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციისაკენ, ამასთანავე მის უარეს კოლონიურ ფორმებში. და ტროცკისტების ამ ზრახვებზე, იმაზე თუ როგორ ჰყიდდნენ თვითონ ისინი თავის თავს და ჰყიდდნენ ჩვენს ქვეყანას გერმანიისა და იაპონიის აგრესორებზე, უტიფარი ცინიზმით ლაპარაკობდა პიატაკოვი გუშინ სასამართლოში. იგი ლაპარაკობდა, თუ როგორ იპარავდა სახელმწიფო, საბჭოთა ფულს, აძლევდა რა ზედმეტს დაკვეთებში გერმანიის ფირმებს „დემაგს" და „ბორზიგს". ეს კეთდებოდა იმ მიზნით, რათა ფირმებს შესაძლებლობა ჰქონოდათ საბჭოთა სახელმწიფოსაგან მოპარული ფულით შეენახათ ტროცკის ბანდიტური ხროვა.

იუდა ტროცკის და მის ხროვას ნათლად ესმოდათ, რომ ხალხს სძაგს ისინი, და ძალაუფლების ხელში ჩაგდების იმედი ჰქონდათ მხოლოდ სსრ კავშირის სამხედრო დამარცხების შედეგად. წერილში რადეკისადმი ტროცკი აშკარად სწერდა:

„უნდა აღვიაროთ, რომ ძალაუფლების საკითხი ბლოკის წინაშე ყველაზე უფრო რეალურად დადგება მხოლოდ სსრ კავშირის ომში დამარცხების შედეგად. საამისოდ ბლოკი ენერგიულად უნდა ემზადებოდეს... საჭიროა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, **დაჩქარდეს შეტაკება სსრ კავშირსა და გერმანიას შორის**".

ამრიგად, ტროცკისტები გახდნენ არა მარტო სამშობლოს მოღალატეებად, არამედ ომის უბოროტეს პროვოკატორებადაც. საბჭოთა სახელმწიფოს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის სისხლის მდინარეებში უნდოდათ მათ ჩაეხრჩოთ სოციალიზმი. ტროცკიმ პიატაკოვს მისცა დირექტივა: „საგრძნობი ზიანი მიაყენებინათ ყველაზე მგრძნობიარე ადგილებში", და ტროცკისტული ქოფაკების ხროვა ყველაფერს აკეთებდა, რაც კი შეეძლო, საზიზღარი დირექტივის შესასრულებლად.

მათ მოაწყეს, სადაც შეეძლოთ, აფეთქებანი საწარმოებში, პირველ რიგში თავდაცვითი მნიშვნელობის საწარმოებში. ასე იყო კემეროვოს მაღაროში, სადაც ტროცკისტი-დივერსანტი დრობნისი მოქმედებდა, რომლის განკარგულებით ააფეთქეს შახტი „ცენტრალნაია" და დაღუპეს ბევრი მუშა. ასე იყო გორლოვკის აზოტ-სასუქის კომბინატშიც, ვოსკრესენსკის ქიმიურ კომბინატსა და ნევის ქარხანაში, სადაც აფეთქებანი მოაწყო რატაიჩაკმა — ტროცკისტმა და გერმანიის ჯაშუშმა.

მეორე ბრალდებული, კნიაზევი, იყო რა გზის უფროსი, აგრეთვე ღებულობდა დივერსიულ დავალებებს ტროცკისტული ცენტრისგანაც და უშუალოდ იაპონიის დაზვერვის აგენტ ხ-ნ ხ-გან; რომელთან მიმოწერა აღმოჩენილია გამოძიებით. რატაიჩაკიც, კნიაზევიც და სხვა ტროცკისტი ჯაშუშებიც სისტემატურად აწვდიდნენ გერმანიისა და იაპონიის დაზვერვათა წარმომადგენლებს უაღრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საიდუმლო ცნობებს — რკინიგზების სამობილიზაციო მზადყოფნის, ჯარების გადაყვანის შესახებ, ჩვენი ქიმიური ქარხნების მდგომარეობისა, მუშაობისა და გეგმების შესახებ. კნიაზევმა მოახდინა მატარებლების, განსაკუთრებით სამხედრო მატარებლების, მთელი რიგი მარცხი, რასაც ადამიანთა დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ამ საზიზღარ მუხანათს სოციალისტური სამშობლოს დამცველ წითელარმიელთა ცოტა სისხლი როდი დაუღვრია: მარტო სადგურ შუმიხაზე 1935 წლის 27 ოქტომბერს მომხდარი მარცხის დროს დაიღუპა 29 წითელარმიელი და დაიჭრა 29.

მათ, ტროცკისტებს, ესაჭიროებოდათ ხალხის სისხლი და უნდოდათ ამ სისხლის ზღვები დაეყენებინათ, რათა ხელისუფლების სათავეში მოქცეულიყვნენ უცხოეთის ფაშისტური ხიშტებით. ისინი ღვრიდნენ მუშათა და წითელარმიელთა სისხლს, მათ შეჰქმნეს მთელი რიგი ჯგუფები ტერორისტული ხელყოფისათვის საქ. კ.პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების — ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვის, ორჯონიკიძისა და სხვათა სიცოცხლის წინააღმდეგ.

ტროცკისტი ბანდიტების მეთაურებს, რომლებიც უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წინაშე წარსდგნენ, სსრ კავშირის მშრომელები იცნობენ, როგორც ხალხის დიდიხნისა და მოსისხლე მტრებს. მათი მზაკვრული სისაძაგლისა და გაქნილი ვეოაგობის წინაშე იჩრდილება წარსული დროის პროვოკატორების სახეები — აზეფები და მალინოვსკები, შუასაუკუნეთა იეზუიტები, იროდები და იუდები.

თავის საზღვარგარეთულ უწმაწურ ბიულეტენში ტროცკისტები მოუწოდებენ საბჭოთა წყობილების ძალდატანებითი დამხობისაკენ და ამ დამხობას „პოლიტიკურ რევოლუციას" უწოდებენ. ყველა ეს ოცნება და ზრახვანი სრული დამარცხებისთვისაა განწირული. ჩვენს საბჭოთა მიწა-წყალზე, ვერსად ოდნავ მაინც ფეხს ვერ მოიკიდებს ტროცკიზმი, და ხალხის მიერ საძულველი ერთი მუჭა ტროცკისტები გადაგვარდნენ დაქირავებულ მკვლელთა და ჯაშუშთა ბანდად. მათ არ ძალუძთ შეაჩერონ სოციალიზმის მძლავრი მოძრაობა წინსვლისა, მაგრამ, როგორც გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ძალების ჯაშუშურ და დივერსიულ-მავნებლურ აგენტურას, მათ ცოტა ზიანის მოტანა როდი შეეძლოთ.

სამშობლოს ღალატისათვის, მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესების გაუგონარი გამცემლობისათვის, მუშათა და წითელარმიელთა ცინიკურ მკვლელობათათვის. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობისათვის, შპიონაჟისა და დივერსიებისათვის, ისტორიაში უმაგალითო ვერაგობისა და გათახსირებისათვის — სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია, ბოლომდე გახსნის რა ტროცკისტული „პარალელური ცენტრის" დანაშაულობათა ხლართს, დამსახურებულ განაჩენს გამოუტანს მის მონაწილეებს.

„პრავდის" მოწინავე, 24/I.

გუშინ დაბრუნდა ოპერისა და ბალეტის სახელოვანი კოლექტივი

გზაში ორდენოსნებთან

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან

დიდი წარმატებით ჩაიარა ქართული ხელოვნების დეკადამ მოსკოვში. ოცი დღე, წითელ დედაქალაქში გატარებული, სამუდამოდ აღიბეჭდა დეკადის მონაწილეთა მეხსიერებაში. როგორც ბავშვობაში მიღებული პირველი შთაბეჭდილებანი სიბერემდე გაჰყვება ადამიანს, ისე არასოდეს ამოიშლება მეხსიერებიდან ის წუთები, რომლებიც დეკადის მონაწილეებმა ახალი კაცობრიობის უბადლო მოქანდაკესთან, ხალხთა საყვარელ ბელადთან და მასწავლებელთან ამხანაგ სტალინთან გაატარეს.

ამიტომ არის, რომ მატარებელში მხოლოდ ამაზეა ლაპარაკი. რაზედაც არ უნდა საუბრობდნენ ორდენოსნები, ბოლოს სიტყვა მაინც კრემლში მიღებაზე და სტალინზე ჩამოვარდება. ამ წუთშივე მოიგონებენ ლადო კავსაძეს, რომელმაც თავისი მოსწრებული კუპლეტებით ბევრი სიამოვნება აგრძნობინა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

— ლადო, იმღერე შენი შაირები!

— ლადო, ერთხელ კიდევ გაგვაგონე შენი ლექსები,—ისმის ყველა კუპედან. ლადოც ბავშვივით გაიღიმებს და ტკბილად აღიღინდება.

ჩვენი გულის ჩირაღდანო,
და არწივო მონავარდე,
ერთი მითხარ რომელია,
არ გეტრფოდე, არ უყვარდე.
დიდად საყვარელო ხოხო,
მთელ მსოფლიოს მზე და მთვარე,
ვიდრე მტკვარი არ დაშრება
იცოცხლე და გაიხარე.

ლადო კავსაძემ თიხის ქინქილები მიართვა საჩუქრად ბელადებს. თვითეულ საჩუქარს თან უძღოდა თავისი სიმღერა, რომელსაც მსახიობი კინტოს ხმაზე არაკრაკებდა. კვების სახალხო კომისარს მან ასეთი ლექსით მიმართა.

ჰოქუთ მერნემ*), მიქოიან-ჯან,
გევედრები მხოლოდ ამას,
შენს მარიფათს ვენაცვალე,
ნუ მოგვაკლებ სმას და ჭამას.

პურით მდიდარ უკრაინისთვის ლადო კავსაძემ შესაფერი სიტყვა მონახა:

პეტროვსკი-ჯან, ზალოტოი,
ვაში ხლება, ნაში ვინა,
შენი სადღეგრძელო იყოს,
ხაი ჟივე უკრაინა.

ორდენოსნები დაწვრილებით იგონებენ იმ შთაბეჭდილებას, რომელიც კავსაძის კუპლეტებმა მოახდინეს. სტალინი და პოლიტბიუროს დანარჩენი წევრები გულიანად იცინოდნენ და ტაშს უკრავდნენ. როცა ლადო კავსაძემ მოათავა საჩუქრების დარიგება, ბელადმა მას ღიმილით უთხრა —ეს რა მოგიგონიაო.

მხიარულად მიდის დრო ორდენოსანთა მატარებელში. ხუმრობა, ოხუნჯობა, სიცილი, სიმღერა ერთმანეთს სცვლიან. ოცი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ მოგზაურობა ერთგვარი დასვენებაა.

როდესაც ხუმრობით გულს იჯერებენ, იწყება მსჯელობა ქართული მუსიკის არნახული წარმატებაზე. „აბესალომ და ეთერი" შეტანილია მოსკოვის დიდი თეატრის, სვერდლოვსკის, სარატოვისა და ბაქოს საოპერო თეატრების რეპერტუარში. სარატოვის თეატრს გადაწყვეტილი აქვს აუცილებლად დაასწროს „აბესალომის დადგმა მოსკოვის დიდ თეატრს. აქ ამ საქმეს უხელმძღვანელებს დირიჟორი პავლოვ-არბენინი, რომელიც ერთ დროს თბილისში მუშაობდა და კარგად იცნობს ქართულ ოპერებს. სარატოვის თეატრმა ჯერ კიდევ დეკადის დროს გამოგზავნა მოსკოვში თავისი წარმომადგენელი. ამ საქმეზე თბილისის საოპერო თეატრის დირექციასთან მოსალაპარაკებლად. გადაწყდა დამდგმელად სარატოვში ქართველი რეჟისორი გაიგზავნოს.

მოსკოვში „აბესალომ და ეთერი" დაიდგმება ა. მელიქ-ფაშაევის დირიჟორობით.

ბაქოში „აბესალომ და ეთერი" წავა თურქულად. ამას გარდა, მუშავდება ბაქოში ქართული ხელოვნების დეკადის მოწყობის საკითხი.

O

24 იანვარს, ღამის 11 საათზე, ჩვენი მატარებელი ბაქოს სადგურს მიადგა. პერონზე თავი მოუყრიათ აზერბეიჯანის ხელოვნების მუშაკებს, პრესისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. უკრავს აღმოსავლური ორკესტრი.

შევიდა თუ არა მატარებელი სადგურში, არემარე მქუხარე ტაშმა და „ვაშამ" გააყრუა. მოდიან, ულოცავენ, ეხვევიან, ჰკოცნიან. თაიგულებით აივსო იქაურობა. აი ქალი გადაეხვია ლადო კავსაძეს. ეს აზერბეიჯანის სახალხო არტისტი შევქეთ ხანუმ მამედოვაა. ის თბილისში არის დაბადებული და გაზრდილი, ერთ დროს ჩვენს საოპერო თეატრში მღეროდა. აი ერთმანეთს გადაეხვივნენ ორი მოძმე რესპუბლიკის ორი დამსახურებული არტისტი დათიკო ანდღულაძე და ბიულ-ბიული.

იმართება სახელდახელო მიტინგი. აზერბეიჯანის ხელოვნების მუშაკთა სახელით თბილისის ორდენოსან თეატრს და მის სახელოვან კოლექტივს მიესალმა აზერბეიჯანის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი დავუდ რასულ-ზადე, მისალმებებით გამოვიდნენ ბაქოს საოპერო თეატრის დამსახურებული არტისტი ბიულ-ბიული, ბაქოს სომხური წითელდროშოვანი სახელმწიფო თეატრის დირექტორი მკრტიჩიანი, აზერბეიჯანის თურქული სახელმწიფო თეატრის დირექტორი ალი ქერიმოვი და ბაქოს რუსული წითელდროშოვანი სახელმწიფო თეატრის დირექტორი, დამსახურებული არტისტი შულგინი.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ორდენოსანმა ალ. წუწუნავამ.

ზ. ბუაჩიძე.

---

*) სომხურად ნიშნავს—შენთვის მოვკვდები.

25 იანვარს მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა ლენინის ორდენოსანი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი. სურათზე: თბილისის თეატრების არტისტები ვაგზალზე მიესალმებიან მოსკოვიდან დაბრუნებულ თავიანთ ორდენოსან ამხანაგებს.

ფოტო მუდიშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

თბილისის ვაგზალზე

მთელი თეატრალური თბილისი სადგურზე იყო. აქ იყვნენ ორდენოსანი და დამსახურებული არტისტები, რეჟისორები, სცენის მუშაკები, ჩვენი თეატრების ხშირი სტუმრები —მაყურებლები — წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა კოლონები, პრესის მუშაკები. აუარებელი ხალხი შეიკრიბა თბილისის სადგურთან. ვეებერთელა მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. სადგურის პერონზე თავმოყრილთა შორის იყვნენ: თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ნიორაძე, საქართველოს განათლების სახალხო კომისარი ამხ. კ. ქუთათელი (?)

მთელი ეს აუარებელი ხალხი ელოდა ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის თეატრის სახელოვან კოლექტივს.

თბილისის სადგურზე შემოიჭრა მატარებელი. იგრიალა ორკესტრმა და მასთან ერთად დამხვდურთა ტაშმა.

— გაუმარჯოს ჩვენს ორდენოსნებს, გაუმარჯოს ლენინის ორდენოსან ოპერის თეატრის კოლექტივს, — გაისმოდა მისასალმებელი შეძახილები დამხვდურთა რიგებიდან.

ვაგონებთან მიცვივდნენ ჩამოსულთა ახლობლები, მეგობრები, კოლეგები, ნათესავები. სახელდახელო მისალმებათა შემდეგ, ყველამ თავი მოიყარა სადგურის წინა მოედანზე. გაიხსნა მიტინგი.

დათოვლილი მოედნის შუა ადგილას სახელდახელო ტრიბუნად ავტომობილი გაემართათ. ტრიბუნა აივსო ჩამოსულებითა და დამხვდურთა წარმომადგენლებით.

მიტინგი გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ა. დუდუჩავამ.

— მოსკოვში საქართველოს საბჭოთა ხელოვნების დეკადის ასე ბრწყინვალედ ჩატარება, — ამბობს ორატორი,—ეს იყო ხალხურობის გამარჯვება ხელოვნებაში. საქართველოს საბჭოთა ხელოვნებამ გაიმარჯვა, რადგან მან ამოჰკრიფა, გამოიყენა და აღადგინა ხალხური შემოქმედების ძვირფასი განძი. საქართველოს ხელოვნების რენესანსი, მისი აღორძინება დაკავშირებულია ჩვენი სასიქადულო სტალინელის ამხ. ლავრენტი ბერიას სახელთან. გაუმარჯოს ხალხთა ბელადს და უბადლო მასწავლებელს, ჩვენს საყვარელ მამას და მეგობარს—დიდ სტალინს! გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ხელმძღვანელს და ხელოვნების მუშაკთა საუკეთესო მეგობარს — ამხანაგ ლავრენტი ბერიას!

ტაშის გრიალი და შეძახილები— „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს", ორკესტრების გუგუნს უერთდება.

— პირველ სიტყვას, —ამბობს მიტინგზე სიტყვით გამოსული განათლების სახალხო კომისარი ამხ. კ. ქუთათელი, — ჩვენი აღფრთოვანებისა და აღტაცების პირველ მისალმებას ვუძღვნით იმ ადამიანს, იმ გენიოსს გენიოსთა შორის, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობით ვითარდება და ჰყვავის საბჭოთა ხალხების კულტურა, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური. იცოცხლოს და იდღეგრძელოს ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემქმნელმა, მასწავლებელმა და მამამ—ამხანაგმა სტალინმა.

მხურვალე მადლობა ჩვენს სახელოვან ხელმძღვანელს, საუკეთესო სტალინელს ამხ. ლავრენტი ბერიას. სალამი ქართული ხელოვნების დეკადის გამარჯვებულ მონაწილეებს!

ჩამოსულებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აგრეთვე ოპერის თეატრთან არსებული ქორეოგრაფიული სტუდიის მოწაფემ, პიონერმა ლილი ლეჟავაშვილმა.

მგზნებარე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ორდენოსანმა აკაკი ვასაძემ. იგი ჩამოსულებს მიესალმა თბილისის ყველა თეატრის მუშაკთა სახელით.

ოპერის თეატრის კოლექტივის სახელით მიტინგზე საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა ამხ. აკ. ჰყონიამ.

თვითეული ორატორის სიტყვა იფარებოდა ტაშის გრიალსა და ორკესტრების გუგუნში.

თათბირი პარტიულ პროპაგანდაზე

22 იანვარს ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში შესდგა თბილისის მსხვილ პარტორგანიზაციათა პარტკომის მდივნებისა და პროპაგანდისტების თათბირი.

თათბირს დაესწრნენ: საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. **გრ. არუთინოვი,** საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყ. გამგე ამხ. **ერ. ბედია,** რაიკომის მდივნები და სხვ.

12 საათზე კეცხოველის სახლის სხდომათა დარბაზი ხალხით გაივსო. აქ არიან თბილისის ფაბრიკა-ქარხნებისა და მსხვილ ორგანიზაციათა პარტკომების მდივნები, პროპაგანდისტები, პარტიული აქტივი. დღის წესრიგში იდგა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. **ვ. გოგეშვილის მოხსენება** — პარტიული პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ პარტდოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის შემდეგ.

თავის შინაარსიან მოხსენებაში ამხ. ვ. გოგეშვილმა კრებას გადაუშალა თბილისის პარტორგანიზაციებში პარტიული პროპაგანდის მდგომარეობის სურათი.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ: ამხ. ხუციევი (მკერავი № 1 ფაბრიკა), მამულაიშვილი (ტრამვაი), აბესაძე (კიროვის რაიკომის კულტპროპგანყოფილების გამგე), სარქისოვი (26 კომუნარის ქარხანა), გეგუჩაძე (აბრეშუმის ფაბრიკა) და სხვ. თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყ. გამგე ამხ. კ. დემეტრაძე. კამათის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია, რომელიც აღნიშნული მოხსენებისა და კამათის საფუძველზე გამოიმუშავებს პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს.

თბილისის პარტორგანიზაციის პარტკომის მდივნებისა და პროპაგანდისტთა თათბირმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **ლ. პ. ბერიას.**

ფართოდ გავშალოთ სოცშეჯიბრება!

ენთუზიაზმის ახალი ტალღა

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის ყველა საამქროში, სასტატოში, ბრიგადაში, განყოფილებაში და ინდივიდუალურ მომუშავეთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ლენინგრადის რკინიგზელების მიერ ხალხთა ბელადის დიდი სტალინის სახელზე გაგზავნილი წერილისა და კავშირის რკინიგზებისადმი მიმართული მოწოდების საფუძველზე.

19 იანვარს ხელშეკრულებების დადება-გაფორმება დამთავრებული ჰქონდა სამჭედლო, სამგზავრო-სავაგონო, სატენდერო, სახარატო, საიარაღო საამქროებს.

ზეინკლების ბრიგადირმა ამხ. ზექალაშვილმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია დურგლების ამხ. პეტროვის და მოისენკოს სასტატოები და თვიური გეგმის 250 პროცენტით შესრულება იკისრა.

სახარატო საამქროში მომუშავე ხარატებმა ამხ. გრიგოლ ბიბილაშვილმა, გიორგი ჯანვერდაშვილმა, სევერიანე ბახტაძემ, ძმებმა სტურუებმა, კოსტა ტიმოფეევმა და სხვებმა სოცშეჯიბრების ფურცელზე აღნიშნეს, რომ თვიურ გეგმას 200 — 220 პროცენტით შეასრულებენ.

— მე ახალი ნორმით დღეში ერთი რვილი უნდა გამოვჭედო, მაგრამ ლენინგრადელების მოწოდების საპასუხოდ გამოვჭედ ორ რვილს — სთქვა სტახანოველმა მჭედელმა ამხ. დავითაშვილმა და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას.

საჭანჭიკო განყოფილების ოსტატმა კომკავშირელმა ამხ. გოგიჩაიშვილმა შეჯიბრების ფურცელზე ხელი მოაწერა, რომ მისი სასტატო დღეში ორის ნაცვლად ორნახევარ ტონა მაღალი ხარისხის ჭანჭიკებსა და ქანჩებს დაამზადებს, სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ბრიგადირი ამხ. მკერვალიშვილი. მკერვალიშვილმა გამოწვევა მიიღო და განაცხადა — ჩემი ბრიგადა ხუთის ნაცვლად დღეში ექვს ტონა რკინას გადაამუშავებსო.

სტალინელები იბრძვიან ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით თვეში 31 ორთქლმავალის უდეფექტოდ შეკეთებისა და როსტოველებთან შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ამას ადასტურებს ის, რომ ჯერ კიდევ სოცშეჯიბრების ხელშეკრულებათა დადების პირველ დღეებშივე გაიზარდა დღიური გეგმის შესრულების პროცენტები.

მ ე ტ ი   ნ ა ვ თ ი!

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. სერგო ორჯონიკიძის მიმართვამ და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 იანვრის დადგენილებამ მიმდინარე წელში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ საქართველოს ნავთის სარეწაოებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

სოციალისტური შეჯიბრების საკითხები ჯერ ინჟინერ-ტექნიკოსთა და სტახანოველთა თათბირზე განიხილეს, შემდეგ საერთო კრებაზე გაიტანეს. კრებაზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. საქართველოს ნავთის ტრესტის მმართველის ამხ. ევგენი გავრიშის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ჭაბურღილების პირველი სტახანოველი ამხ. სანდრო ლორთქიფანიძე.

— საქართველოს ნავთის წინაშე მიმდინარე წელს მეტად რთული ამოცანებია. ჩვენ საექსპლოატაციოდ უნდა მოვამზადოთ მირზაანის უბანი. ამიტომ უნდა გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება და უზრუნველვყოთ ამ დავალების ბრწყინვალედ შესრულება. მე ვკისრულობ № 59 ჭის ბურღვა დავამთავრო 75 დღეში, ნაცვლად 3 ნახ. თვისა, და შეჯიბრებაში ვიწვევ სარეწაოს ყველა ოსტატს.

ამხ. ლორთქიფანიძის შემდეგ გამოვიდა ჭაბურღილ № 60-ის ოსტატი მიხეილ მარსანოვი, რომელმაც იკისრა დაზგა - თვეში თავისი ჭაბურღილის 400 მეტრის სიჩქარით გაჭრა. ასეთივე ვალდებულებები აიღეს სხვა სტახანოველებმაც.

მირზაანის სარეწაოს მუშაკებმა იკისრეს მიმდინარე წელს დაზგა-თვეში ჭაბურღილის გაჭრის სიჩქარე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 350 მეტრისა, აიყვანონ 500 მეტრამდე.

დაიწყო ჭაბურღილების შეკეთება. იმარაგებენ სათადარიგო ნაწილებს, იქმნება ყოველგვარი პირობები ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მირზაანმა შეჯიბრებაში გამოიწვია ტარიბანის სარეწაო.

შემცირდა ვაგონების გაცდენა

ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე წნორის-წყალი ერთერთი მნიშვნელოვანი სადგურია. მის მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული კახეთის უმთავრეს რაიონებში დამზადებული პროდუქტებისა და ნედლეულის თავის დროზე გადაზიდვა.

წნორის-წყლის სადგურის მუშაკები წელს გეგმის მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ მიიღეს აგარის სადგურის მუშაკთა გამოწვევა. ამ გამოწვევის მუხლებს დაუმატეს ვაგონების გაცდენის შემცირება, ისრებისა და სემაფორის ელექტროშუქით განათება და სხვ.

თავისი მხრივ წნორის-წყლის მუშაკებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს ნავთლუღის სადგური. შეჯიბრების დაწყების შემდეგ სადგურის მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. საბარგო ვაგონების გაცდენა ნაცვლად 2 საათისა დაყვანილია 1,8 საათამდე, სემაფორი და ისრები უკვე ელშუქითაა განათებული, ხოლო რაც მთავარია, ვაგონების საშუალო გაცდენა 17 საათიდან დაყვანილია 13 საათამდე.

სტახანოველთა შეკრება ჭიათურაში

20 იანვარს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სტახანოველთა მეოთხე შეკრებამ, რომელსაც 700-მდე მოწინავე სტახანოველი დაესწრო, მოისმინა ამხ. კენჭერაძის მოხსენება 1937 წელს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

შეკრებამ მიიღო და დაადასტურა ტყვარჩელის და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროელთა ხელშეკრულების მუხლები. სიტყვებით გამოვიდნენ მოწინავე ადამიანები: ამხ. ტრ. ფოფხაძე, აკაკი გურული, ორდენოსანი ვასილ სამხარაძე, ბესარიონ გაფრინდაშვილი, ვალოდია სამხარაძე და სხვ.

შეკრებაზე სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობისა და პრაქტიკული ამოცანების შესახებ ვრცელი სიტყვით გამოვიდა პარტრაიკომის მდივანი ამხ. კალმახელიძე.

შეკრებამ მარგანეცის კარგი ხარისხისათვის გარდამავალი დროშა გადასცა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი

23 იანვრის დილის სხდომა

ბრალდებული პიატაკოვის დაკითხვა

ვიშინსკი: გვითხარით, როდის დაიწყო თქვენი არალეგალური ტროცკისტული საქმიანობის უკანასკნელი პერიოდი?

პიატაკოვი: 1931 წლიდან—ეს არის უკანასკნელი პერიოდი, თუ 1926-27 წლებს არ ჩავთვლით.

ვიშინსკი: რაში გამოიხატა ეს საქმიანობა?

პიატაკოვი: 1931 წელს მე სამსახურის საქმეების გამო მივლინებული ვიყავი ბერლინში. იმავე დროს ჩემთან იყო რამდენიმე ტროცკისტი, მათ შორის სმირნოვი და ლოგინოვი; მე მახლდა აგრეთვე მოსკალიოვი, იყო შესტოვიც.

1931 წლის შუაზაფხულს ბერლინში ივანე ნიკიტას-ძე სმირნოვმა მაცნობა, რომ ამჟამად ახალი ძალით კვლავ იწყება ტროცკისტული ბრძოლა საბჭოთა მთავრობისა და პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომ მას—სმირნოვს, ბერლინში შეხვედრა ჰქონდა ტროცკის შვილთან—სედოვთან, რომელმაც მას ტროცკის დავალებით გადასცა ახალი მითითებანი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ხელი უნდა აეღოთ ბრძოლის მასობრივ მეთოდებზე, რომ ბრძოლის ძირითადი მეთოდი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნას, ეს არის ტერორის მეთოდი და, როგორც მან მაშინ სთქვა, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მეთოდი.

ვიშინსკი: რომელ სმირნოვზე ლაპარაკობთ თქვენ?

პიატაკოვი: ცნობილ ტროცკისტ ივანე ნიკიტას-ძე სმირნოვზე.

ვიშინსკი: სწორედ იმაზე, რომელიც გასამართლებულ იქნა?

პიატაკოვი: დიახ, სწორედ იმაზე, რომელიც შემდეგ შედიოდა გაერთიანებულ ზინოვიევურ-ტროცკისტულ ცენტრში. ერთერთი შეხვედრის დროს, როდესაც ჩემთან კაბინეტში არავინ იყო, მან გადმომცა, რომ სედოვს ძალიან სურს ჩემი ნახვა.

მე დავთანხმდი ამ შეხვედრაზე. შეხვედრისას სედოვმა მითხრა, რომ მელაპარაკება არა თავისი სახელით, არამედ თავისი მამის—ლ. დ. ტროცკის სახელით. სედოვმა მითხრა, რომ ტროცკი ერთი წუთითაც არ სტოვებს სტალინური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლის განახლების ფიქრს, რომ იყო დროებითი მიყუჩება, რომელიც ნაწილობრივ აიხსნებოდა თვით ტროცკის გეოგრაფიული გადასვლა-გადმოსვლით, მაგრამ ეს ბრძოლა ამჟამად კვლავ იწყება, რასაც იგი, ტროცკი გატყობინებთო.

სედოვმა სთქვა აგრეთვე, რომ მან იცის, რომ მემარჯვენეებსაც—ტომსკის, ბუხარინისა და რიკოვის სახით იარაღი არ დაუყრიათ, მხოლოდ დროებით მიყუჩნდნენ, რომ მათთანაც უნდა დამყარდეს საჭირო კავშირი.

ამის შემდეგ სედოვმა პირდაპირ დამისვა კითხვა: „ტროცკი გეკითხებათ, ფიქრობთ თუ არა თქვენ, პიატაკოვი, ამ ბრძოლაში ჩაბმას?“ მე თანხმობა მივეცი.

სედოვი გადავიდა ბრძოლის ახალი მეთოდების დედაარსის გადმოცემაზე: რამე ფორმის მასობრივი ბრძოლის გაშლაზე, მასობრივი მოძრაობის ორგანიზაციაზე ლაპარაკიც არ შეიძლება; თუ ჩვენ რამე მასობრივ მუშაობას შევუდგებით, ეს ნიშნავს დაუყოვნებლივ ჩავარდნას; ტროცკი მტკიცედ დადგა ტერორისა და მავნებლობის მეთოდებით სტალინური ხელმძღვანელობის ძალმომრეობითი დამხობის პოზიციაზე. შემდეგ სედოვმა მითხრა ტროცკი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ბრძოლა უაზრობაა, რომ საერთაშორისო საკითხს ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით. ჩვენ მოგვიხდება ამ ბრძოლაშიც ვიქონიოთ საერთაშორისო საკითხი ან, უფრო სწორად, სახელმწიფოთაშორისო საკითხების აუცილებელი გადაწყვეტა.

ვიშინსკი: ამ შეხვედრის ამბავი ხომ არ გადაეციათ რომელიმე თქვენი თანამონაწილისათვის?

პიატაკოვი: დიახ, მე ველაპარაკე ვლადიმერ ლოგინოვს, რომელიც იყო ტრესტ „კოქსის“ მმართველი, ბიტკერს, რომელიც მუშაობდა ბერლინში, შესტოვს, რომელიც იყო ქვანახშირის მრეწველობისათვის დაკვეთების განაწილების კომისიაში, ჩემს მდივანს, რომელიც იყო ჩემი ნდობით აღჭურვილი კაცი, მოსკალიოვს.

ვიშინსკი: ბრალდებულო შესტოვ, ხომ მოისმინეთ პიატაკოვის ჩვენება?

შესტოვი: დიახ.

ვიშინსკი: სედოვთან თავისი საუბარი რომ გიამბოთ პიატაკოვი სოლიდარობას უცხადებდა სედოვს, თუ იგი ამ საუბარს ფოტოგრაფიულად გადმოგცემდათ?

შესტოვი: უსათუოდ სოლიდარობას უცხადებდა.

ვიშინსკი: (კვლავ მიმართავს პიატაკოვს): როდესაც შესტოვს უამბობდით თქვენს საუბარს სედოვთან, ამ საუბარს უბრალო, გადმოცემის ხასიათს აძლევდით, თუ ამასთან ერთად გამოსთქვამდით თქვენს დამოკიდებულებასაც?

პიატაკოვი: შესტოვთანაც და ვლადიმერ ლოგინოვთანაც ლაპარაკი იყო ამ დირექტივის განხორციელებაზე.

ვიშინსკი: რით აიხსნება, რომ თქვენ ასე სწრაფად დასთანხმდით გაგეახლებინათ ბრძოლა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ?

პიატაკოვი: ჩემში დარჩენილი იყო ძველი ტროცკისტული ნაშთები, რომლებიც შემდგომ სულ უფროდაუფრო იზრდებოდნენ.

პიატაკოვი ამხ. ვიშინსკის კითხვაზე შემდეგ უჩვენებს, მალე პირველი შეხვედრის შემდეგ მე მქონდა მეორე შეხვედრა სედოვთან. ისე როგორც პირველი შეხვედრა, ეს შეხვედრაც ი. ნ. სმირნოვმა მოაწყო. ამ შეხვედრის დროს სედოვმა ჩემს წინაშე დააყენა საკითხი კონტრრევოლუციური მუშაობისათვის საჭირო ფულის შესახებ.

— სედოვმა მითხრა, — უჩვენებს ბრალდებული პიატაკოვი, — თქვენ მხოლოდ ერთი რამ მოგეთხოვებათ: რაც შეიძლება მეტი დაკვეთები მისცეთ ორ გერმანულ ფირმას—„ბორზიგსა“ და „დემაგს“, მე კი შევუთანხმდები, თუ როგორ უნდა მივიღოთ მათგან საჭირო თანხები. ამასთან მხედველობაში უნდა გქონდეთ, რომ ფასებს ძალიან არ უნდა გამოეკიდოთ. ეს საქმე რომ გავშიფროთ, ცხადი იყო, რომ იმ საბჭოთა დაკვეთების ფასების წანამატი, რომლებსაც ჩვენ მივცემდით, სავსებით ან ნაწილობრივ გადავიდოდა ტროცკის ხელში მისი კონტრრევოლუციური მიზნებისათვის.

ვიშინსკი: თქვენც მოიქეცით ისე, როგორც სედოვი გირჩევდათ?

პიატაკოვი: სრული სიმართლეა.

ვიშინსკი: გვიამბეთ, რაში გამოიხატა ეს?

პიატაკოვი: ეს კეთდებოდა ძალიან უბრალოდ, მით უფრო, რომ მე მეტად დიდი შესაძლებლობანი მქონდა და დაკვეთების საკმაოდ დიდი რაოდენობა ამ ფირმების ხელში გადავიდა.

როგორც შემდგომი დაკითხვიდან ირკვევა, პიატაკოვმა ეს მეორე შეხვედრა სედოვთან გამოიყენა ზოგიერთი საკითხის დასაზუსტებლად.

ვიშინსკი: შესტოვის საშუალებით თქვენ რასმე იღებდით სედოვისაგან?

პიატაკოვი: დიახ, 1931 წ. დეკემბერს მე მოსკოვში ვიყავი. შესტოვმა, ბერლინიდან დაბრუნებისას, შემოიარა ჩემთან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, სამსახურის კაბინეტში, და გადმომცა წერილი.

ვიშინსკი: შესტოვი თქვენთან სამსახურის საქმისათვის გამოცხადდა?

პიატაკოვი: იგი გამოცხადდა იმისათვის, რომ გადმოეცა ტროცკის წერილი და ერთხელ კიდევ მოლაპარაკებოდა ტროცკისტული მუშაობის გაშლაზე კუზბასში.

ვიშინსკი: (მიმართავს ბრალდებულ შესტოვს): თქვენ იყავით პიატაკოვთან?

შესტოვი: დიახ, ვიყავი. ეს იყო 1931 წ. ნოემბერში.

ვიშინსკი: თქვენ გადაეცით წერილი? ვისგან მიიღეთ იგი?

შესტოვი: მე მივიღე წერილი სედოვისაგან ბერლინში.

ვიშინსკი: რა გითხრათ სედოვმა?

შესტოვი: მან მაშინ გადმომცა არა წერილები, არამედ, როგორც მაშინ დათქმული გვქონდა, ერთი წყვილი ფეხსაცმელი.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ მიიღეთ არა წერილები, არამედ ფეხსაცმელი?

შესტოვი: დიახ, მაგრამ მე ვიცოდი, რომ იქ წერილები იყო. ორივე ფეხსაცმელში თითო წერილი იყო ჩატანებული. და მან მითხრა, რომ წერილების კონვერტებზე არის ნიშანი. ერთ კონვერტზე ეწერა ასო „პ“—ეს ნიშნავდა, პიატაკოვისთვის, მეორეზე კი ეწერა ასო „მ“—ეს ნიშნავდა, მურალოვისთვისაო.

ვიშინსკი: თქვენ პიატაკოვს გადაეცით წერილი?

შესტოვი: მე გადავეცი მას წერილი, რომელზედაც „პ“ ნიშანი იყო.

ვიშინსკი: მეორე წერილი?

შესტოვი: მეორე წერილი, რომელზედაც „მ“ ნიშანი იყო, მურალოვს გადავეცი.

ვიშინსკი: ბრალდებულო მურალოვ, თქვენ მიიღეთ წერილი?

მურალოვი: მივიღე.

ვიშინსკი: ფეხსაცმლით თუ უფეხსაცმლოდ? (დარბაზში სიცილია).

მურალოვი: არა, მან მხოლოდ წერილი მომიტანა.

ვიშინსკი: რა იყო კონვერტზე?

მურალოვი: ასო „მ“.

პიატაკოვი: მე მივიღე წერილი ისეთი, როგორც ამჟამად შესტოვმა გადმოგცათ, და რომ გავხსენი, ძალიან გავოცდი: მე ველოდი ბარათს სედოვისაგან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კონვერტში იყო ბარათი არა სედოვისაგან, არამედ ტროცკისაგან; წერილი დაწერილი იყო გერმანულად და ხელმოწერილი—„ლ. ტ.“

ვიშინსკი: მაშასადამე, წერილი თქვენ მიიღეთ ტროცკისაგან სედოვისა და შესტოვის საშუალებით?

პიატაკოვი: დიახ.

ვიშინსკი (მიმართავს პიატაკოვს): რა იყო ამ წერილში?

პიატაკოვი: ეს წერილი, როგორც ამჟამად მახსოვს, ასე იწყებოდა „ძვირფასო მეგობარო, მე ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენ გაჰყევით ჩემს მოთხოვნებს...“

შემდეგ ნათქვამი იყო, რომ დღეს ძირითადი ამოცანები, რომლებსაც იგი მოკლედ აყალიბებდა. პირველი ამოცანაა—ყოველნაირი საშუალებით მოვიცილოთ თავიდან სტალინი მისი უახლოესი თანაშემწეებით. ცხადია, სიტყვები „ყოველნაირი საშუალებით“ უნდა გაგვეგო, პირველ რიგში, როგორც ძალმომრეობითი საშუალებანი. მეორე, ამავე ბარათში ტროცკი იწერებოდა ამ ბრძოლისათვის ყველა ანტისაბჭოთა ძალის გაერთიანების აუცილებლობაზე. მესამე, — საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ყველა ღონისძიებისათვის წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობაზე, განსაკუთრებით მეურნეობის დარგში.

ვიშინსკი: ამ წერილის შემდეგ თქვენ მალე ერთხელ კიდევ იყავით საზღვარგარეთ. რომელ წელს?

პიატაკოვი: 1932 წელს. ეს იყო 1932 წლის მეორე ნახევარში და მაშინ იყო, რომ შევხვდი სედოვს მესამედ.

ვიშინსკი: რას აკეთებდით ამ ხნის განმავლობაში, რომელმაც განვლო თქვენს მიერ ტროცკისაგან 1931 წელს წერილის მიღებიდან და ბერლინში 1932 წელს თქვენს ხელმეორედ ჩასვლამდე?

პიატაკოვი: იმ ხანებში მე ვმუშაობდი ძველ ტროცკისტულ კავშირ-ნაცნობობის აღდგენაზე, მე, უმთავრესად, ყურადღებას ვაქცევდი უკრაინას, როდესაც ბერლინში ლოგინოვს ვესაუბრებოდი, ჩვენ შევუთანხმდით უკრაინის ტროცკისტული ცენტრის მოწყობის შესახებ. კავშირი ამ ცენტრთან იყო ჩემი ძირითადი კავშირი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩემს შემდგომს მეტად არსებითს კავშირს, რომელიც შესტოვის საშუალებით დაიწყო დასავლეთ ციმბირთან და ნ. ი. მურალოვთან.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ აღვადგინეთ კავშირ-ნაცნობობა უკრაინაში. ესენი იყვნენ ლოგინოვი, გოლუბენკო, კოციუბინსკი და ამ საქმეზე ბრალდებული ლივშიცი. ჩვენ შევუთანხმდით ჯერ ლოგინოვს, ხოლო შემდეგ დანარჩენებს იმის შესახებ, რომ ისინი შეადგენენ უკრაინულ ოთხეულს.

ვიშინსკი: რომელ მათგანთან გქონდათ ამაზე ლაპარაკი?

პიატაკოვი: ოთხივესთან.

ვიშინსკი: და მათ შორის ლივშიცთან?

პიატაკოვი: დიახ.

ვიშინსკი: სად მუშაობდა მაშინ ლივშიცი?

პიატაკოვი: უკრაინაში, გზის უფროსად. ჩვენ დიდიხანია ერთმანეთთან დაკავშირებული ვიყავით კონტრრევოლუციური ტროცკისტული მუშაობით.

ვიშინსკი: რა შემთხვევის გამო იყო, რომ 1931 წელს გზის უფროსი ჩნდება თქვენთან, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან? იყო თუ არა სამისოდ რამე საქმიანი, სამსახურებრივი საბაბი?

პიატაკოვი: არა, იგი მოვიდა, რადგან სურდა უშუალოდ ჩემგან მიეღო დადასტურება იმისა, რაც მას ლოგინოვმა გადასცა. მე მას გავაცანი სედოვთან ჩემი შეხვედრის ამბავი და გადავეცი ტროცკის დირექტივები, ველაპარაკე ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებზე, მავნებლობაზე.

ვიშინსკი: ბრალდებულო ლივშიც, ადასტურებთ თუ არა თქვენ პიატაკოვის ჩვენებას ამ ნაწილს მასთან თქვენი შეხვედრის შესახებ?

ლივშიცი: დიახ, ვადასტურებ. მე მივედი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, რათა შემემოწმებინა პიატაკოვისაგან ლოგინოვის მიერ გადმოცემული დირექტივების სისწორე. პიატაკოვმა მე მითხრა იგივე, რაც ლოგინოვმა, რომ ბრძოლის იმ მეთოდებმა, რომლებსაც ჩვენ წინათ ვატარებდით, ვერავითარი ეფექტი ვერ გამოიღეს, რომ საჭიროა მივმართოთ ბრძოლის ახალ მეთოდებს ე. ი. ტერორსა და დამანგრეველ მუშაობას.

ვიშინსკი (პიატაკოვს): მაშ, გადავიდეთ ბერლინში თქვენი მეორედ ჩასვლის საკითხზე.

პიატაკოვი: ბერლინში მეორედ ჩასვლა მომიხდა 1932 წლის შუახანებში. სედოვმა შეიტყო ჩემი ჩასვლა ბერლინში და გადასწყვიტა შემხვედროდა, რათა, როგორც მან სთქვა, მიეღო აუცილებელი ინფორმაცია ტროცკისათვის.

მე ველაპარაკე ტროცკისტების მუშაობაზე უკრაინასა და დასავლეთ ციმბირში, კავშირზე შესტოვთან, ნ. ი. მურალოვთან და ბოგუსლავსკისთან, რომელიც მაშინ დასავლეთ ციმბირში იმყოფებოდა.

სედოვმა გამოსთქვა უღრმესი უკმაყოფილება, არა თავისი, როგორც მან სთქვა, არამედ ტროცკის უკმაყოფილება იმის გამო, რომ საქმე მეტად ნელა მიდის, განსაკუთრებით, ტერორისტული საქმიანობის მხრით, მან სთქვა: „თქვენ ყველანი ორგანიზაციული მომზადებითა და ლაპარაკით ხართ გართული, მაგრამ არაფერი კონკრეტული არა გაქვთო“. შემდეგ მითხრა: „თქვენ იცით ლევ დავითის-ძის ხასიათი, იგი თმას იგლეჯს და დორბლსა ჰყრის, მოუთმენლად ელის, რომ მისი დირექტივები რაც შეიძლება მალე იქნენ სინამდვილედ, თქვენი ცნობებიდან კი არაფერი კონკრეტული არა სჩანს“.

ვიშინსკი: დიდხანს დაჰყავით მეორედ ბერლინში?

პიატაკოვი: თვენახევარი - ორი თვეს. იმავე წლის შემოდგომაზე მოსკოვს დავბრუნდი, და აქ მოხდა ჩემი შეხვედრა კამენევთან, რასაც სათადარიგო, შემდგომ პარალელური ტროცკისტული ცენტრის შექმნის თვალსაზრისით, მეტად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

კამენევი რაღაცა საბაბით მოვიდა ჩემთან სახალხო კომისარიატში. მან მეტად მკაფიოდ და ნათლად ილაპარაკა შექმნილი ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის შესახებ. როგორც კამენევმა სთქვა, სასურველია ძირითადი ცენტრის ჩავარდნის შემთხვევისათვის გვყავდეს სათადარიგო ტროცკისტულ - ზინოვიევური ცენტრი. მან დავალებული ჰქონდა ოფიციალურად შემკითხებოდა, თანახმა ვიყავი თუ არა შევსულიყავი ამ ცენტრში.

ვიშინსკი: სათადარიგოში, როგორც მან სთქვა?

პიატაკოვი: სათადარიგოში. მე თანხმობა მივეცი კამენევს სათადარიგო ცენტრში შესვლაზე. ეს იყო 1932 წლის შემოდგომაზე. ინფორმაციის წესით კამენევმა მითხრა, რომ მათ დამყარებული აქვთ უმჭიდროესი კავშირი, უბრალო კონტაქტი კი არა, არამედ კავშირი მემარჯვენეებთან: ბუხარინთან, ტომსკისთან, რიკოვთან, და იქვე სთქვა: „რადგან თქვენ, იური ლეონიდის-ძევ, ბუხარინთან ძალიან კარგ ურთიერთობაში ხართ, ზედმეტი არ იქნება, რომ მასთან თქვენც იქონიოთ სათანადო კონტაქტი“. მე შემდგომ ასეც ვიქცეოდი.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ ეს კონტაქტი ბუხარინთან დაამყარეთ?

პიატაკოვი: დიახ. ჩემს კითხვაზე: „კაცმა რომ სთქვას, როგორ ხდება ეს, რომ ჩვენ კავშირს ვამყარებთ მემარჯვენეებთან“ — კამენევმა პირდაპირ მიპასუხა, ეს, საერთოდ რომ ითქვას, შენ მხრივ ერთგვარი ბალღობაა პოლიტიკაშიო, გუშინდელი უთანხმოებანი ჩვენ ერთმანეთს ვერ დაგვაშორებენ, რადგან გვაქვს საერთო მიზანი: სტალინური ხელმძღვანელობის დამხობა და სოციალიზმის აშენებაზე ხელის აღება ეკონომიური პოლიტიკის სათანადო შეცვლასთან ერთად.

ამავე საუბარში კამენევმა „სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის“ შესახებაც სთქვა, რომ თუ არ გვექნება აუცილებელი კონტაქტი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მთავრობებთან, ისე ჩვენ ძალაუფლებას ვერ დავეპატრონებით, და ამიტომ ეს კონტაქტი უნდა დავამყაროთო. რაც შეეხება დეტალებს, მან მითხრა: შენ, პიატაკოვი „მესაერთაშორისე არა ხარ“, და აქ რადეკი და სოკოლნიკოვი უფრო მეტად გაცნობილი არიან საქმესაო.

ვიშინსკი: რას ნიშნავს: თქვენ მესაერთაშორისე არა ხართ?

პიატაკოვი: ტროცკისტულ წრეებში მე უფრო სპეციალისტ-სამეურნეო მუშაკად ვითვლებოდი და არა სპეციალისტად საერთაშორისო საკითხებში.

ვიშინსკი: საერთაშორისო საკითხებში ვინღა ითვლებოდა?

პიატაკოვი: მე უკვე ვთქვი: რადეკი და სოკოლნიკოვი.

ვიშინსკი: რაზე გქონდათ მოლაპარაკება მათთან 1932 წელს?

პიატაკოვი: 1932 წ. ჩვენ ლაპარაკი გვქონდა რადეკთან. მან მაშინ სთქვა, საჭიროა გავატაროთ ბრძოლის მეთოდები, რომლებიც მიღებულია ტროცკისა და გაერთიანებული ტროცკისტულ - ზინოვიევური ძირითადი ცენტრის მიერ. ჩვენ დაგვებადა აზრი, რომ ძირითად ცენტრთან ერთად, რომელშიც კამენევი, ზინოვიევი, მრაჩკოვსკი, ბაკაევი, სმირნოვი, ევდოკიმოვი და სხვ. შედიოდნენ, გვქონოდა ჩვენი ტროცკისტული პარალელური ცენტრი, რომელიც ძირითადი ცენტრის ჩავარდნის შემთხვევაში სათადარიგო ცენტრის როლს შეასრულებდა, და იმავე დროს გასწევდა დამოუკიდებელ პრაქტიკულ მუშაობას, ტროცკის დირექტივებისა და შეხედულებების თანახმად.

მართალია, განსაკუთრებული განსხვავება ჩვენი და ზინოვიეველების შეხედულებებს შორის იმ დროს უკვე არ არსებობდა, მაგრამ მაშინ რადეკსა და მე გვაშინებდა ის, რომ ჩვენ მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ეკონომიური უკანდახევისას ბლოკის ზინოვიევური ნაწილი ერთობ შორს წავიდოდა და ამის მიმართ ერთგვარი წინააღმდეგობა უნდა მოგვეწყო.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაშინ დავთქვით ამის თაობაზე შევკითხებოდი ტროცკის. განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ (ეს იყო უკვე 1933 წელს) ჩემთან ერთერთი შეხვედრისას რადეკმა მაცნობა: ტროცკისაგან პასუხი მივიღე: ტროცკი ულტიმატურად აყენებს ზინოვიეველებთან სრული ერთიანობისა და ბლოკის შენარჩუნების საკითხს, რადგან არავითარი უთანხმოება მათთან არა გვაქვს, რამდენადაც ტერორისტულ - მავნებლური პლატფორმა მიღებულია. რაც შეეხება უკანდახევას, ტროცკი იწერებოდა: რადეკი და პიატაკოვი სცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ უკანდახევა უმნიშვნელო იქნება, — უკანდახევა მოგვიხდება ძალიან შორს, და ამ მხრივ დასაბუთებულია ბლოკი არა მარტო ზინოვიეველებთან, არამედ მემარჯვენეებთანაც.

რაც შეეხება ჩვენი ცენტრის გადაქცევას პარალელურ ცენტრად, მან სთქვა, რომ ეს გააძლიერებს ძალების შეგროვებას და საჭირო ტერორისტული და მავნებლური აქტების მომზადებას.

1933 წლის დამლევს გაგრაში შევხვდი სერებრიაკოვს.

მაშინ ჩვენ შევთანხმდით, რომ მე, ძირითადად გავწიო მუშაობა უკრაინასა და დასავლეთ ციმბირში და მრეწველობაში, იგი კი ღებულობს ამიერკავკასიას და ტრანსპორტს. სოკოლნიკოვს შევხვდი გაცილებით უფრო გვიან — 1935 წლის შუახანებში, როცა ჩვენ უკვე კონკრეტულად ვლაპარაკობდით სათადარიგო ანუ პარალელური ცენტრის მომქმედ ცენტრად გადაქცევაზე, რამდენადაც ამ დროისათვის უკვე მოხდა განადგურება ძირითადი ცენტრისა, რომლის ყველა წევრი დაპატიმრებული და მსჯავრდადებული იყო. სოკოლნიკოვმა შემოიარა ჩემთან მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში და მითხრა, დროა დავიწყოთ მოქმედება, რადგან დაპატიმრებათა შემდეგ ერთგვარი სიწყნარე ჩამოვარდაო.

ვიშინსკი: მაშასადამე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ 1933 წლიდან უკვე მოქმედებს „პარალელური ცენტრი“?

პიატაკოვი: დიახ.

ვიშინსკი: სწორედ იმიტომ არის, იგი პარალელური, რომ ის მოქმედებს ერთდროულად ძირითადთან ერთად?

პიატაკოვი: დიახ.

ვიშინსკი: ბრალდებულო რადეკ, რა შეგიძლიათ სთქვათ პიატაკოვის ჩვენების ამ ნაწილის შესახებ?

რადეკი: მე მას სავსებით ვადასტურებ.

ვიშინსკი: თქვენ განიხილეთ საკითხი, რომ შეეკითხებოდით ტროცკის „პარალელური ცენტრის“ შესახებ?

რადეკი: დიახ. ჩვენ ეს საკითხი განვიხილეთ ძირითადი ცენტრის პირადი შემადგენლობის თვალსაზრისითაც და ზინოვიევური ნაწილისადმი ჩვენი პოლიტიკური უნდობლობის თვალსაზრისითაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს შორის ბლოკი იყო.

ვიშინსკი: როგორ გავიგოთ ეს?

რადეკი: ჩვენ მივედით იმ რწმენამდე, რომ ეს ბლოკი, ალბათ, ვერ გაუძლებდა რამე სერიოზულ განსაცდელს. ზინოვიევის ერთერთი პირველი საზრუნავი იქნება ჩამოშორება ტროცკისტების; პირადი მომენტები დიდ როლს ითამაშებენ. კამენევი და სოკოლნიკოვი ბევრად იმაზე უფრო შორს წავლენ ეკონომიურ უკანდახევაში, ვიდრე ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა, ზინოვიევი კი სრულ პანიკაში იქნება. ბლოკის გარეგნობის შენარჩუნებასთან ერთად, საჭიროა გვქონდეს საკუთარი ორგანიზაცია, როგორც მოპირდაპირე ძალა.

ვიშინსკი: რათა ხელში გყოლოდათ ტროცკისტულ - ზინოვიევური ცენტრი?

რადეკი: თუ ძველი ცენტრის შემადგენლობას აიღებთ, ტროცკისტების მხრივ იქ არ ყოფილა არც ერთი ძველი პოლიტიკური ხელმძღვანელი. იყვნენ — სმირნოვი, რომელიც უფრო ორგანიზატორი იყო, ვიდრე პოლიტიკური ხელმძღვანელი, მრაჩკოვსკი — ჯარისკაცი და მებრძოლი, და ტერ-ვაგანიანი — პროპაგანდისტი. ჩვენ მათდამი სრული პირადი ნდობა გვქონდა, მაგრამ ჩვენ არ ვთვლიდით მათ ისეთებად, რომლებიც, რამე რომ მომხდარიყო, შესძლებდნენ ნამდვილ ხელმძღვანელობას. ჩვენ ვფიქრობდით, რომ რაკი ეს ცენტრი უკვე შექმნილია; ყოველგვარი ცვლილება ცენტრში გამოიწვევდა უთანხმოებას ზინოვიეველებთან, და ამიტომ ვცდილობდით სათადარიგო ცენტრის იდეა გამოგვეყენებინა პარალელური ცენტრის სახით. ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვეგზავნა შეკითხვა ტროცკისათვის.

ვიშინსკი: ვინ მისწერა ტროცკის?

რადეკი: წერილი დავწერე მე.

ვიშინსკი: როგორ გადაეცით ეს წერილი?

რადეკი: კავშირი დავამყარე ვლადიმერ რომის, ჩემი ძველი მეგობრის საშუალებით, რომელიც მაშინ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი იყო საზღვარგარეთ. პასუხიც რომის საშუალებით მივიღე. წერილებს დაუყოვნებლივ ვწვავდი, მაგრამ პიატაკოვმა დაწვრილებით იცის ყველაფერი ტროცკის ინფორმაციის მსვლელობაზე.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ ადასტურებთ პიატაკოვის ჩვენებას ამ ნაწილში.

რადეკი: დიახ.

ვიშინსკი (მიმართავს სერებრიაკოვს): რა შეგიძლიათ სთქვათ პიატაკოვის ჩვენების იმ ნაწილის შესახებ, სადაც არის მითითება თქვენს მონაწილეობაზე?

სერებრიაკოვი: მართალია, 1933 წლის ნოემბრის დამლევს მე გაგრაში შევხვდი პიატაკოვს.

ვიშინსკი: რაზე საუბრობდით?

სერებრიაკოვი: პიატაკოვმა მოკლედ მაცნობა სედოვთან შეხვედრა და თავისი მუშაობა, რომელსაც იგი უკრაინასა და დასავლეთ ციმბირში ატარებდა. მან მთხოვა მეკისრა მუშაობა საქართველოსთან და ტრანსპორტზე კავშირის გაბმის ხელმძღვანელობის მხრივ.

ვიშინსკი: და თქვენ მიეცით თანხმობა?

სერებრიაკოვი: დიახ.

ვიშინსკი: იგი გეუბნებოდათ, რომ თქვენ მონაწილეობა უნდა მიიღოთ „სათადარიგო ცენტრში“?

სერებრიაკოვი: დიახ.

ვიშინსკი: და თქვენც ამაზე დათანხმდით?

სერებრიაკოვი: დიახ.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ ადასტურებთ პიატაკოვის ჩვენების ამ ნაწილს?

სერებრიაკოვი: დიახ.

ვიშინსკი (მიმართავს პიატაკოვს): მე მაინტერესებს: ვისი ხელმძღვანელობით მოქმედებდა „პარალელური ცენტრი“?

პიატაკოვი: ტროცკისა.

ვიშინსკი: ვინ ახორციელებდა ცენტრის სახელით უშუალო კავშირს ტროცკისთან?

პიატაკოვი: რადეკი, ხოლო შემდეგ მე მქონდა პირადი შეხვედრა ტროცკისთან.

ვიშინსკი: მაშასადამე, ცენტრი თქვენი და რადეკის საშუალებით უშუალოდ იყო დაკავშირებული თქვენი დანაშაულებრივი საქმიანობის ძირითად ხელმძღვანელთან?

პიატაკოვი: სწორია.

ვიშინსკი: რა პრაქტიკულ ღონისძიებებს ატარებდა ცხოვრებაში ცენტრი 1933-34 წლების მანძილზე?

პიატაკოვი: 1933-34 წლებში სწორედ გაიშალა ორგანიზაციულ-მოსამზადებელი მუშაობა უკრაინაში, დასავლეთ ციმბირში, უფრო გვიან ჩამოყალიბდა მოსკოვის ჯგუფი. მუშაობა გაიშალა ურალში, ამასთან მთელი ეს მუშაობა უკვე გადადიოდა ტროცკის იმ დირექტივის განხორციელების სფეროში, რომლის თაობაზე წინათ ვაჩვენე. დირექტივისა მავნებლური და დივერსიული მეთოდების გამოყენების შესახებ.

ვიშინსკი: მაშასადამე, 1933-34 წლებში „პარალელური ცენტრის“ ხელმძღვანელობით იქმნება და ყალიბდება ადგილებზე ტროცკისტული უჯრედები. კერძოდ, დასავლეთ ციმბირში, ურალში, უკრაინაში?

პიატაკოვი: ამ დროისათვის გაჩნდნენ ტროცკისტული ჯგუფები ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში, ოდესასა და კიევში.

ვიშინსკი: ე. ი. ცენტრს უკვე ჰქონდა თავისი უჯრედები?

პიატაკოვი: დიახ. ჰქონდა და ისინი პრაქტიკულად შეუდგნენ დანაშაულებრივი ხასიათის ღონისძიებებს.

ვიშინსკი: სახელდობრ რა ღონისძიებებს.

პიატაკოვი: უკრაინაში ძირითადად მუშაობდა ლოგინოვი და მასთან დაკავშირებულ პირთა ჯგუფი კოქსის მრეწველობის დარგში. მათი მუშაობა ძირითადად მდგომარეობდა განუმზადებელი საკოქსე ღუმელების ამუშავებაში და შემდეგ კოქს - ქიმიური მრეწველობის მეტად ძვირფასი და მეტად მნიშვნელოვანი ნაწილების მშენებლობის ყოველნაირად შეფერხებაში. იწყებდნენ ღუმელების ამუშავებას ყველა იმ, მეტად მნიშვნელოვანი, პროდუქტების გამოუყენებლად, რომლებსაც დაკოქსვის დროს ღებულობენ. ამით ფასი ეკარგებოდა დიდძალ სიმდიდრეს.

ვიშინსკი: ეს უკრაინაში. სხვა ადგილებში?

პიატაკოვი: დასავლეთ ციმბირში—კემეროვოში მოქმედებდა ამ საქმეზე ბრალდებული ნორკინი. მას ეხმარებოდა მისი მთავარი ინჟინერი კარცევი; შემდეგ 1934 წელს, იქ მე გავგზავნე კიდევ დრობნისი, აგრეთვე ბრალდებული ამ საქმეზე, ჩვენი მუშაობის გასაძლიერებლად, რადგან ნორკინი შემომჩიოდა, რომ მას მარტო ძალიან უძნელდება თავი გაართვას საქმეს.

ვიშინსკი: დრობნისი კემეროვოში გაგზავნეთ სპეციალურად იმისათვის, რომ გაეძლიერებინათ მავნებლური მუშაობა.

პიატაკოვი: დრობნისს მე უფრო ფართო ამოცანებს ვუსახავდი. როცა მას დასავლეთ ციმბირში ვგზავნიდი (მე ლაპარაკი მქონდა სედოვთან დრობნისის გაგზავნის შესახებ, რადგან ტროცკი მას პირადად კარგად იცნობს), მე ორნაირ მიზანს ვისახავდი: ერთი მხრით, გამეაქტივებინა დასავლეთ - ციმბირის ცენტრის მუშაობა; მეორე მხრით აუცილებელი დახმარება გამეწია ნორკინისათვის კემეროვოს კომბინატში მავნებლობის გასატარებლად.

ვიშინსკი: თქვენ იგი გაგზავნეთ მშენებლობის უფროსის თანაშემწედ და ამასთან ერთად მშენებლობის დასანგრევად?

პიატაკოვი: დიახ. კუზბასში აქტიურად გაშალა მავნებლური მუშაობა შესტოვმა, რომელიც [illegible] უშუალოდ [illegible]სა და ჩემთან.

ურალში ჩამოყალიბება იწყო იულინის არალეგალურმა ჯგუფმა, რომელიც იმ ხანებისათვის უკვე დაკავშირებული იყო მედნიკოვის ჯგუფთან და სხვებთან.

ვიშინსკი: ყველა ეს ჯგუფი ეწყობოდა, ყალიბდებოდა და თავის დანაშაულებრივ საქმიანობას ახორციელებდა თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით?

პიატაკოვი: რა თქმა უნდა.

ვიშინსკი: რამდენად იყვნენ გაცნობილი თქვენს საქმიანობას ცენტრის დანარჩენი წევრები?

პიატაკოვი: ამის შესახებ იცოდნენ რადეკმაც და სერებრიაკოვმაც. სოკოლნიკოვს ცნობები მიეწოდა უფრო გვიან, უკვე 1935 წელს.

ვიშინსკი: როგორი იყო თქვენი ოფიციალური სამსახურებრივი მდგომარეობა 1933-34 წლებში?

პიატაკოვი: მე ვიყავი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენთვის უფრო ადვილი იყო გამოგეყენებინათ თქვენი კავშირ-ნაცნობობა ტროცკისტული მაქინაციებისათვის?

პიატაკოვი: დიახ, ამაში მე თავს დამნაშავედ ვაღიარებ.

დილის სხდომა ამით თავდება.

23 იანვრის საღამოს სხდომა

ბრალდებული პიატაკოვის დაკითხვის გაგრძელება

ვიშინსკი: გვიამბეთ, რა იცით ტროცკისტული ორგანიზაციების კონკრეტული მავნებლური მუშაობის შესახებ.

პიატაკოვი: მავნებლური მუშაობა გაშლილი იყო უკრაინაში, უმთავრესად, კოქს-ქიმიური მრეწველობის ხაზით. მშენებლობაში მყოფი მკოქსავი ღუმელები საექსპლოატაციოდ გადადიოდა მოუთავებელი სახით, ქარხნებში ჩერდებოდა და თითქმის არ შენდებოდა ქიმიური ნაწილი. ამის გამო დიდძალ სახსრებს, რომლებიც კოქს-ქიმიურ მრეწველობაში ბანდდებოდა, ფასი ეკარგებოდა, მეორე მხრით, ფუჭდებოდა ახალი მკოქსავი ბატარეები.

დასავლეთ-ციმბირის ტროცკისტული ჯგუფი აქტიურ მავნებლურ მუშაობას ეწეოდა ქვანახშირის მრეწველობაში. ამ მუშაობას ეწეოდნენ შესტოვი და მისი ჯგუფი, უმთავრესად, შახტებში ხანძრის გამოწვევის ხაზით. კემეროვოს ქიმიურ კომბინატში ხდებოდა მშენებლობაში მყოფი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის შეჩერება, სახსრები იქსაქსებოდა მეორეხარისხოვან ობიექტებზე და, ამგვარად, უდიდესი ნაგებობანი სულ მუდამ მშენებლობის პროცესში იმყოფებოდნენ.

ვიშინსკი: ნორკინი, კარცევი, დრობნისი იყვნენ თუ არა ამ საქმის კურსში?

პიატაკოვი: დიახ, ისინი იყვნენ საქმის კურსში. საქმის კურსში იყვნენ, რა თქმა უნდა, მურალოვი და ბოგუსლავსკი.

ურალში მავნებლური საქმიანობა თავმოყრილი იყო სპილენძის მრეწველობასა და ურალის ვაგონმშენებელ ქარხანაზე.

სპილენძის მრეწველობაში საქმე იქით იყო მიმართული, რათა უწინარეს ყოვლისა შემცირებულიყო სპილენძის მომქმედი ქარხნების საწარმოო შესაძლებლობანი.

ვიშინსკი: პერსონალურად ვინ ეწეოდა მავნებლურ მუშაობას?

პიატაკოვი: ძირითადად ამ მუშაობას ეწეოდა კოლეგაევი, „ურალმედის“ მმართველი, ტროცკის დირექტივით, შემდეგ პერსონალურად ჩემი დირექტივებით.

„სრედურალმედსტროის“ სპილენძის ქარხანაში „სრედურალმედსტროის“ უფროსი იულინი, ხოლო შემდეგ ჟარიკოვი ეწეოდნენ მავნებლურ მუშაობას, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ქსაქსავდნენ სახსრებს, ბოლომდის არ მიჰყავდათ მშენებლობა, ჰქმნიდნენ გათიშვას წარმოების ქიმიურ და მეტალურგიულ ნაწილებს შორის, აფერხებდნენ მაღაროს მშენებლობას.

ურალის ვაგონმშენებელ ქარხანაში მშენებლობის უფროსი, ტროცკისტი მარიასინი სახსრებს ახმარდა მასალების, მოწყობილობისა და სხვათა არასაჭირო დაგროვებას. მე მგონია, რომ 1936 წლის დამდეგისათვის იქ უქმად იდო 50 მილიონი მანეთის მასალა.

მავნებლურ მუშაობას ქიმიურ მრეწველობაში ატარებდა რატაიჩაკი.

აზოტის მრეწველობაში მავნებლურ მუშაობას ეწეოდნენ რატაიჩაკი და პუშინი ჩემი უშუალო მონაწილეობით. აქ ხდებოდა პროექტების სისტემატიური გადაკეთება, დაპროექტების მუდმივი გაჭიანურება და ამით მშენებლობის გაჭიანურებაც.

ვიშინსკი: გვიამბეთ თქვენი სადივერსიო საქმიანობა.

პიატაკოვი: სიმართლე რომ ითქვას, ყველაფერი ხდებოდა ჩვენი და, კერძოდ, ჩემი მითითებებით. ვაძლევდით ხაზს, მაგრამ მე არ შემიძლიან კონკრეტულად ვთქვა, რომ მე ვაძლევდი მითითებებს — მოახდინეთ სწორედ ესადაეს დივერსია.

ვიშინსკი: განა კემეროვოს შესახებ ეგრე არ იყო?

პიატაკოვი: არა. ეგეც მეტისმეტად კონკრეტულია. მე დავადასტურე ნორკინის ჩვენება და ახლაც ვადასტურებ, რომ ტროცკის იმ მითითების შესაბამისად, რომელიც მე მივიღე; ნორკინს ვუთხარი, ომის მომენტი რომ დადგება, ალბათ, კემეროვო ამათუიმ გზით გამოყვანილ უნდა იქნას მწყობრიდან მეთქი.

ვიშინსკი: (მიმართავს ნორკინს): გაიხსენეთ ლაპარაკი პიატაკოვთან იმის შესახებ, რომ ქიმკომბინატი გამოგეყვანათ მწყობრიდან ომის შემთხვევაში.

ნორკინი: სავსებით ნათლად იყო ნათქვამი, რომ საჭიროა ომის მომენტისათვის მოვამზადოთ თავდაცვის ობიექტების გამოყვანა მწყობრიდან ცეცხლის წაკიდებისა და აფეთქებათა გზით.

ვიშინსკი: იყო თუ არა ლაპარაკი ადამიანთა მსხვერპლზე?

ნორკინი: ასეთი მითითება არ ყოფილა მოცემული.

ვიშინსკი: იყო თუ არა ლაპარაკი ცხედრებზე?

ნორკინი: საერთოდ, ძნელია ნამდვილი ფორმულირების აღდგენა, მაგრამ იგი მეტად მკაცრი იყო იმ აზრით, რომ ზედმეტია რაიმე რიდი და ვისიმე შებრალებაო.

ვიშინსკი (პიატაკოვს): იყვნენ თუ არა თქვენი ორგანიზაციის წევრები რამენაირად დაკავშირებული უცხოეთის დაზვერვებთან?

პიატაკოვი: დიახ, იყვნენ. უნდა დავუბრუნდეთ ტროცკის მითითებებს, რომ უფრო ნათელი იყოს. ტროცკი ამბობდა, რომ თუ საჭირო დახმარება არ გვექნება უცხოეთის სახელმწიფოთა მხრივ, ისე ბლოკის მთავრობა ვერ შესძლებს ვერც ძალაუფლების სათავეში ჩადგომას, ვერც ძალაუფლების შენარჩუნებას. ამიტომ აუცილებელია სათანადო წინასწარი შეთანხმება ყველაზე უფრო აგრესიულ უცხო სახელმწიფოებთან, ისეთებთან, როგორიც არიან გერმანია და იაპონია და, რომ მან, ტროცკიმ, სათანადო ნაბიჯები უკვე გადადგა.

შემდეგ პიატაკოვი უჩვენებს, რომ ტროცკიმ უკმაყოფილება გამოსთქვა სოკოლნიკოვის არასაკმაო აქტივობის გამო უცხოეთის ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლებთან საიდუმლო - მოლაპარაკების დროს. ტროცკის დირექტივის შესასრულებლად რადეკსაც ჰქონდა ასეთი შეხვედრები. სოკოლნიკოვი უამბობდა პიატაკოვს, რომ მან სანქცია მისცა ტროცკის მოლაპარაკებას იაპონიის მთავრობასთან.

პიატაკოვი: ამავე ლაპარაკში ჩვენ ბევრ ყურადღებას ვაქცევდით ბლოკის გაფართოების საკითხს. ჩვენ სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ, რომ, აუცილებელია მემარჯვენეებთან ერთად მოეწყოს მუშაობა საბჭოთა მთავრობის დასამხობად.

სოკოლნიკოვმა იკისრა შეხვედროდა ტომსკის და ინახულა იგი. მან გადმოგვცა, რომ ტომსკიმ სრული თანხმობა განაცხადა ორგანიზაციულ შესვლაზე ბლოკში, რომ მას აბსოლუტურად აუცილებლად მიაჩნდა მოწყობილიყო ტერორისტული მუშაობა, მაგრამ უნდა მოეთათბირებოდა რიკოვსა და ბუხარინსაო. იგი ასეც მოიქცა შემდეგ, და უკვე პასუხს იძლეოდა სამივეს სახელით.

ვიშინსკი: გარდა ტომსკისა, სწარმოებდა თუ არა ვისიმესთან მოლაპარაკება ამ ჯგუფიდან?

პიატაკოვი: რადეკს კავშირი ჰქონდა ბუხარინთან. მე დაკავშირებული ვიყავი ბუხარინთან 1934 წლამდე, ე. ი. სახალხო კომისარიატიდან მის წასვლამდე, ხოლო როდესაც იგი „იზვესტიაში“ გადავიდა, ამ კავშირს ახორციელებდა რადეკი.

დაახლოვებით 1935 წლის დეკემბრის დამლევს რადეკმა ტროცკისაგან მიიღო ვრცელი წერილი — ინსტრუქცია. ტროცკიმ ამ დირექტივაში წამოაყენა ორი ვარიანტი ხელისუფლების სათავეში ჩვენი ჩადგომის შესაძლებლობის შესახებ. პირველი ვარიანტი — ეს შესაძლებლობა ხელისუფლების სათავეში ჩადგომისა ომამდე და მეორე ვარიანტი — ომის დროს. პირველი ვარიანტი ტროცკის წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც იგი ამბობდა, კონცენტრირებული ტერორისტული დარტყმის შედეგად. მას მხედველობაში ჰქონდა ერთსადაიმავე დროს ტერორისტული აქტების ჩადენა სტალინისა და მისი უახლოესი თანაშემწეების წინააღმდეგ.

მეორე ვარიანტი, რომელიც ტროცკის თვალსაზრისით უფრო შესაძლებელი იყო, ესაა სამხედრო დამარცხება, რადგან ომი, მისი სიტყვით, გარდუვალია, და ამასთან სულ უახლოეს ხანში. უწინარეს ყოვლისა გერმანიასთან და შესაძლოა იაპონიასთან. მაშასადამე, ლა-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი

გაგრძელება

პარაკი იმაზე, რათა ამ ქვეყნების მთავრობებთან სათანადო შეთანხმების გზით მივაღწიოთ კეთილსასურველ დამოკიდებულებას ძალაუფლების სათავეში ბლოკის ჩადგომისათვის და, მაშასადამე, ამ ქვეყნებისათვის მთელი რიგი დათმობებით წინასწარი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა თანახმად, მივიღოთ სათანადო დახმარება, რათა ძალაუფლება შევინარჩუნოთ.

ვიშინსკი (რადეკს): ბრალდებულო რადეკ, მიიღეთ თუ არა თქვენ 1935 წელს, ან რამდენადმე უფრო ადრე, ორი წერილი თუ მეტი ტროცკისაგან?

რადეკი: ერთი წერილი—1934 წლის აპრილს, მეორე — 1935 წლის დეკემბერს.

ვიშინსკი: მათი შინაარსი შეესაბამება იმას, რაც აქ პიატაკოვმა სთქვა?

რადეკი: ძირითადად—დიახ. პირველ წერილში არსებითად ლაპარაკი იყო ომის, როგორც ძალაუფლების სათავეში ტროცკისტების ჩადგომის სასურველი პირობის დაჩქარებაზე. მეორე წერილში კი დამუშავებული იყო ძალაუფლების სათავეში ჩადგომის ეს, ეგრეთწოდებული ორი ვარიანტი. მეორე წერილში ლაპარაკი იყო კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებაზე.

ვიშინსკი: იყო თუ არა ამ წერილში რაიმე იმ პირობათა შესახებ, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინა ძალაუფლების სათავეში ჩამდგარ „პარალელური ცენტრის" ჯგუფს უცხო სახელმწიფოთა სასარგებლოდ?

რადეკი: მთელი პროგრამა აქეთ იყო მიმართული.

ვიშინსკი: იყო თუ არა კონკრეტულად ლაპარაკი ტერიტორიულ დათმობებზე?

რადეკი: ნათქვამი იყო, რომ ალბათ, ეს აუცილებელი იქნება.

ვიშინსკი: უკრაინის დათმობა?

რადეკი: როდესაც წერილს ვკითხულობდით, ჩვენ ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა. როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს წოდებული, გეტმანის უკრაინად თუ სხვანაირად, საქმე ეხებოდა გერმანიის ექსპანსიის დაკმაყოფილებას უკრაინაში. რაც შეეხება იაპონიას, ტროცკი ლაპარაკობდა პრიამურიესა და პრიმორიეს დათმობაზე.

ვიშინსკი (პიატაკოვს): გვიამბეთ, რა მოხდა თქვენთან საზღვარგარეთ?

პიატაკოვი: 1935 წლის დამლევს რადეკთან ჩემი მოლაპარაკების დროს წამოიჭრა საკითხი, რომ აუცილებელია ამათუიმ გზით შეხვედრა ტროცკისთან. რადგან იმ წელს მე მქონდა სამსახურებრივი მივლინება ბერლინში, რადეკმა მირჩია მიმემართა ბერლინში ბუხარცევისათვის, რომელსაც კავშირი ჰქონდა ტროცკისთან, რათა იგი დამხმარებოდა ამ შეხვედრის მოწყობაში. ეს იყო დეკემბრის პირველ ნახევარში.

შემდეგ ბრალდებული პიატაკოვი უჩვენებს, რომ ტროცკის სანდო პირისა და ბუხარცევის შემწეობით მას ჰქონდა შეხვედრა ტროცკისთან ოსლოში. ტროცკის იმავე სანდო პირმა პიატაკოვი ბერლინიდან თვითმფრინავით ჩაიყვანა ოსლოში და ტროცკისთან მოლაპარაკების შემდეგ პიატაკოვი იმავე დღეს თვითმფრინავით დაბრუნდა ბერლინს.

ვიშინსკი: გვიამბეთ, რაზე ესაუბრებოდით ტროცკის?

პიატაკოვი: ლაპარაკი დაიწყო ჩემი ინფორმაციით იმის შესახებ, თუ უკვე რა გააკეთა ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ცენტრმა. ამ დროისათვის ტროცკის უკვე მიღებული ჰქონდა რადეკის წერილი და იგი განსაკუთრებით აღელვებული იყო. ჩემთან საუბარში იგი ხშირად მაწყვეტინებდა ლაპარაკს, მესროდა ყოველგვარ გესლიან სიტყვებსა და რეპლიკებს შემარიგებლობის, ვითარების გაუგებლობის შესახებ, როგორიცაა: „ძველებურად ცხოვრობთ", და ყოველგვარ ასეთ მწარე სიტყვებს და ამჟღავნებდა უკმაყოფილების აშკარა ნიშნებს. როდესაც საქმე მავნებლობას შეეხო, მან მთელი ფილიპიკა წარმოსთქვა. მესროდა გესლიან შენიშვნებს, როგორიცაა „ვერ მოსწყვეტილხართ სტალინურ ჰიპს, სტალინური მშენებლობა სოციალისტურად მიგაჩნიათ" იქვე მან ძალიან მკაცრად, გარკვევით და ნათლად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია მავნებლობის შესახებ. ტროცკი ამბობდა, რომ სამხედრო შეტაკება და სსრ კავშირის დამარცხება გარდუვალია, და თუ ჩვენ ამას პასიურად მოვეკიდებით, მაშინ სტალინური სახელმწიფოს ნანგრევებში დაიღუპება ყველა ტროცკისტული კადრიც. სწორედ ამიტომ მან მიაჩნია, რომ მავნებლური მეთოდი სავსებით გარდუვალია, იგი გამომდინარეობს ტროცკიზმის თვით დედაარსიდან.

მან სთქვა, რომ ომი, მისი აზრით, ცხვირწინაა. რომ ლაპარაკია 37 წელზე. აშკარაა, ეს ინფორმაცია მისი საკუთარი გამონაგონი არ ყოფილა. რაც შეეხება საერთაშორისო ვითარებას, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ რეალურ ძალებს წარმოადგენენ, უწინარეს ყოვლისა, ფაშისტები და ამ ძალებთან უნდა დავამყაროთ კავშირი და უზრუნველვყოთ ჩვენთვის კეთილსასურველი დამოკიდებულება ძალაუფლების სათავეში ჩადგომის შემთხვევისათვის. იგი გვესაყვედურებოდა, რომ ჩვენ არასაკმაოდ ენერგიულად ვეწევით დივერსიულ, მავნებლურ და ტერორისტულ მუშაობას, და სთქვა, რომ სავსებით გარკვევით შეუთანხმდა გერმანიის ფაშისტურ მთავრობას და იაპონიის მთავრობას კეთილსასურველი დამოკიდებულების შესახებ იმ შემთხვევისათვის, თუ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი ძალაუფლების სათავეში ჩადგება. აქ მან დასძინა, რომ იგი საკმაოდ ხანგრძლივ მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე — გესთან.

ეს შეთანხმება იმაში გამოიხატება, რომ გერმანელი ფაშისტები აღუთქვამენ ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკს კეთილსასურველ დამოკიდებულებასა და მხარისდაჭერას იმ შემთხვევაში, თუ ბლოკი სათავეში ჩაუდგება ძალაუფლებას, როგორც ომის დროს, ისე ომამდე. ამისათვის ფაშისტები ღებულობენ ქვემოაღნიშნულ კომპენსაციას:

საერთო კეთილსასურველ დამოკიდებულებას გერმანიის ინტერესებისადმი, გერმანიის მთავრობისადმი საერთაშორისო პოლიტიკის ყველა საკითხში; განსაზღვრულ ტერიტორიულ დათმობებს; კერძოთ, ლაპარაკი იყო ტერიტორიულ დათმობათა შენიღბულ ფორმაზე, რომელსაც ეწოდებოდა „წინააღმდეგობის გაუწევლობა უკრაინის ნაციონალურ-ბურჟუაზიული ძალებისადმი მათი თვითგამორკვევის შემთხვევაში".

ვიშინსკი: რას ნიშნავს ეს?

პიატაკოვი: ეს ნიშნავს, რომ, თუ გერმანელები თავის უკრაინულ მთავრობას დასვამენ,—ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი ამას წინააღმდეგობას არ გაუწევს. არსებითად ეს ნიშნავდა სსრ კავშირის დანაწილებას.

შეთანხმების შემდეგი პუნქტი ეხებოდა იმას, თუ რა ფორმით მიიღებს გერმანული კაპიტალი შესაძლებლობას გასწიოს სსრ კავშირში ექსპლოატაცია მისთვის აუცილებელი ნედლეული რესურსების — ოქროს მადნებისა, ნავთის, მარგანეცის, ხეტყის, აპატიტებისა და სხვ.

ვიშინსკი: დივერსიულ აქტებზე ომის შემთხვევისათვის?

პიატაკოვი: სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში დივერსიულ-მავნებლური მუშაობა, რომელსაც სსრ კავშირში ტროცკისტულ-ზინოვიევური ორგანიზაცია ეწევა, უნდა გატარებულიყო ტროცკის მითითებათა თანახმად, რომლებიც უნდა შეგვეთანხმებინა გერმანიის გენერალურ შტაბთან.

საუბრის დასასრულ ჩვენ ხმეთი ლაპარაკი გვქონდა. ძალაუფლების სათავეში ჩადგომა იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ჩვენ ძლიერ უნდა დავიხიოთ უკან კაპიტალიზმის მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით, ტროცკი ამბობდა, რომ არსებითად ჩვენ გვაქვს ერთნაირი პროგრამა მემარჯვენეებთან, რამდენადაც მემარჯვენეებმა მიიღეს დივერსიულ-მავნებლური პროგრამა და სთვლიან, რომ უნდა დავიხიოთ უკან კაპიტალიზმისაკენ.

ვიშინსკი: მაშასადამე, ახალი რა გითხრათ ტროცკიმ 1935 წელს?

პიატაკოვი: ახალი, თუ გნებავთ, საკმაოდ გარკვევით იყო ფორმულირებული: ტროცკისტული ორგანიზაცია არსებითად იქცევა ფაშიზმის დამატებად.

ვიშინსკი: ახლა მინდა გკითხოთ თქვენი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ტერორისტული აქტების მოწყობის დარგში. რაში გამოიხატა ეს კონკრეტულად?

პიატაკოვი: უწინარეს ყოვლისა, ესაა ტერორისტული ჯგუფების მოწყობა დასავლეთ ციმბირში ეიხეს მოსაკლავად.

ვიშინსკი: კიდევ რა მიზნით მოეწყვნენ ისინი დასავლეთ ციმბირში?

პიატაკოვი: დასავლეთ ციმბირში იყო ცდა თავდასხმისა მოლოტოვზე, უკრაინაში—კოსიორისა და პოსტიშევზე. უკრაინაში იყო ლაპარაკი ტროცკისტებთან, რომ უკრაინელი ტროცკისტული ტერორისტული კადრები მოსკოვში გადაგვეყვანა.

ვიშინსკი: რა მიზნით უნდა გადაგეყვანათ მოსკოვში?

პიატაკოვი: ტერორისტული აქტების ჩასადენად.

ვიშინსკი: ვის წინააღმდეგ?

პიატაკოვი: პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისა—სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვის, ორჯონიკიძის წინააღმდეგ... ლაპარაკი იყო ტერორისტული აქტების ცოტადთუბევრად ერთსა დაიმავე დროს შესრულებაზე. ტროცკი ამას განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვდა.

ვიშინსკი: ამიერ-კავკასიის შესახებაც იყო ლაპარაკი?

პიატაკოვი: დიახ, ამიერკავკასიელი ტერორისტების შესახებაც იყო ლაპარაკი. სერებრიაკოვი ელაპარაკებოდა მდივანს იმის თაობაზე, რომ საჭიროების დროს გადაესროლათ მოსკოვში ამიერკავკასიელი ტროცკისტ-ტერორისტები.

ვიშინსკი: (მიმართავს სერებრიაკოვს): თქვენ ადასტურებთ პიატაკოვის ამ ჩვენებას?

სერებრიაკოვი: დიახ, გათვალისწინებული იყო ტერორისტული აქტი ეჟოვის წინააღმდეგ.

ვიშინსკი (მიმართავს პიატაკოვს): ვინ მოქმედებდა უშუალოდ თქვენი ხელმძღვანელობით მოსკოვში?

პიატაკოვი: მოსკოვში უშუალოდ ჩემი ხელმძღვანელობით მოქმედებდა იულინის ჯგუფი, სადაც შედიოდნენ ასკოლდოვი, დოკუჩაევი, კოლოსკოვი.

ვიშინსკი: რას ისახავდა იგი ამოცანად?

პიატაკოვი: სტალინისა და კაგანოვიჩის მოკვლას.

ვიშინსკი: და თქვენ უშუალოდ ამას ხელმძღვანელობდით?

პიატაკოვი: დიახ, უშუალოდ. როგორც ცენტრის წევრი.

ვიშინსკი: კიდევ რა?

პიატაკოვი: შემდეგ მე ვიცოდი, რომ არსებობდნენ ტერორისტული ჯგუფები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ სოკოლნიკოვსა და რადეკთან. ერთი იყო ჯგუფი — ზაკს-გლადნევის და ტიველისა, დაკავშირებული სოკოლნიკოვთან, და მეორე ჯგუფი — პრიგოჟინისა, დაკავშირებული რადეკთან.

გარდა ამისა, ჩვენ მუდამ გვქონდა განზრახული გამოგვეწვია აქ დრეიცერი. რადგან ვიცოდით, რომ მას კავშირი აქვს ტერორისტებთან.

ვიშინსკი: თქვენ დრეიცერის შესახებ ვინმესთან გქონდათ ლაპარაკი?

პიატაკოვი: მე ლაპარაკი მქონდა რადეკთან.

ვიშინსკი (მიმართავს რადეკს): გვითხარით, გქონდათ თუ არა ლაპარაკი დრეიცერის შესახებ?

რადეკი: 1935 წლის ივლისში იყო ლაპარაკი. როცა ჩვენ პირველად შევიკრიბეთ კიროვის მოკვლის შემდეგ, დადგა საკითხი, რომ უაზრობაა ერთეულების მოკვლა, ეს არავითარ პოლიტიკურ შედეგს არ მოგვცემს, არამედ მოგვცემს მხოლოდ ორგანიზაციის განადგურებას. ამიტომ საჭიროა ზუსტად გამოვარკვიოთ, გვყავს ძალები სერიოზული მოქმედებისათვის, თუ ეს ძალები არ არის?

ვიშინსკი: მე ასე მესმის თქვენი ნათქვამი: არ კმარა ამხანაგ კიროვის მოკვლა, არამედ საჭიროა კიდევ სხვების მოკვლა?

რადეკი: ან საჭიროა უარი ვთქვათ ტერორზე, ან შევუდგეთ მასობრივი ტერორისტული აქტების სერიოზულად მოწყობას, რაც დააყენებდა ძალაუფლებასთან მიახლოვების საკითხს.

ვიშინსკი: მეტი კითხვა მე არა მაქვს. გთხოვთ გამოიწვიოთ დასაკითხავად მოწმე ბუხარცევი.

მოწმე ბუხარცევის დაკითხვა

თავმჯდომარე ამხ. ულრიხი (მიმართავს მოწმე ბუხარცევს): თქვენ ხართ დიმიტრი პავლეს-ძე ბუხარცევი?

ბუხარცევი: დიახ.

თავმჯდომარე: თქვენი თანამდებობა უკანასკნელ დროს და მუშაობა?

ბუხარცევი: „იზვესტიის" კორესპონდენტი ბერლინში.

თავმჯდომარე: თქვენ გამოწვეული ხართ მოწმედ პიატაკოვის, რადეკისა და სხვათა საქმეზე. ვალდებული ხართ მოგვცეთ სწორი ჩვენება.

ამხანაგო ვიშინსკი, რამდენადაც მოწმე ბუხარცევი გამოწვეულია თქვენი თხოვნით, ინებეთ მისცეთ კითხვები.

ვიშინსკი: მოწმე ბუხარცევ, თქვენ იცნობთ რადეკს?

ბუხარცევი: მე მას ვიცნობ, დაახლოვებით, 1924 წლიდან.

ვიშინსკი: თქვენ იცნობთ პიატაკოვსაც?

ბუხარცევი: პიატაკოვი გავიცანი 1935 წელს.

შემდეგ მოწმე ბუხარცევი აჩვენებს, თუ როგორ მოაწყო მან პიატაკოვის შეხვედრა ლ. ტროცკის სანდო პირთან გუსტავ შტირნერთან და როგორ შეხვდა შტირნერის საშუალებით პიატაკოვი ოსლოში ლ. ტროცკის.

ვიშინსკი (მიმართავს ბუხარცევს): იცით თუ არა, როგორ იშოვა შტირნერმა პასპორტი? როგორ იშოვა მან თვითმფრინავი? რამდენად ადვილია ეს გერმანიაში?

ბუხარცევი: როცა შტირნერს ველაპარაკებოდი, მე მას ვკითხე, როგორ იშოვით პასპორტს-მეთქი. შტირნერმა მითხრა: ნუ გედარდებათ, მე ამ საქმეს მოვაწყობ, მე მაქვს ნაცნობობა ბერლინში.

ვიშინსკი: რა ნაცნობობა?

ბუხარცევი: მან არ მითხრა, რა ნაცნობობა. მე წარმოდგენილი მქონდა, რომ ეს არის ისეთი ნაცნობობა, ისეთ წრეებში, რომელთაც შეუძლიათ ამის გაკეთება.

ვიშინსკი: რა წრეები ეს?

ბუხარცევი: გერმანიის მთავრობის მოხელეები.

ვიშინსკი: რის გულისთვის მონაწილეობდით თქვენ ამ ოპერაციაში?

ბუხარცევი: მე ვიყავი ტროცკისტული ორგანიზაციის წევრი.

* * *

(ცხადდება დასვენება 24 იანვრის დილის 11 საათამდე.)

24 იანვრის დილის სხდომა

ბრალდებული რადეკის დაკითხვა

რადეკის ჩვენებიდან ირკვევა, რომ პარტიაში იგი დაბრუნდა როგორც თვალთმაქცი და გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მალე აღადგინა თავისი ტროცკისტული კავშირი და პოლიტიკის ძირითად საკითხებში კვლავ ტროცკისტულ შეხედულებებს იზიარებდა.

ვიშინსკი: ტროცკისტებს შორის ვისთან შეინარჩუნეთ კავშირი?

რადეკი: დაკავშირებული ვიყავი მეგობრობით მრაჩკოვსკისთან, ძველი მეგობრობით ვიყავი დაკავშირებული ი. ნ. სმირნოვთან, დაკავშირებული ვიყავი დრეიცერთან, მის უახლოეს თანაშემწესთან—გაევსკისთან, აღარაფერს ვამბობ ჩემს ძველ პირად მეგობრებზე, რომლებთანაც მე ვიყავი დაკავშირებული,—პიატაკოვთან, პრეობრაჟენსკისთან, სმილგასთან, სერებრიაკოვთან.

ვიშინსკი: ეს 1930-31 წელს იყო?

რადეკი: დიახ, ეს იყო 1930-31 წელს. უკვე მაშინ, 1931 წ. მე გადაჭარბებით ვაფასებდი კულაკობის წინააღმდეგობის ძალას, შევუშინდი სიძნელეებს და ამრიგად გავხდი პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი ძალების გამომხატველი.

ვიშინსკი: როდის შეიტყეთ თქვენ გაერთიანებული ცენტრის არსებობა და საქმიანობა?

რადეკი: მე მისი შექმნა შევიტყე 1932 წლის ნოემბერში.

ვიშინსკი: ვისგან?

რადეკი: წინასწარ ის, თუ რა მზადდებოდა, შევიტყვე ტროცკის მიერ ჩემთვის 1932 წლის თებერვალ-მარტში გამოგზავნილი წერილიდან. თვით ორგანიზაციის შექმნის ფაქტი შევიტყვე მრაჩკოვსკისაგან 1932 წლის ნოემბერში.

ვიშინსკი: რას გწერდათ ტროცკი მაშინ?

რადეკი: ტროცკი, დაახლოვებით, ამბობდა: „თქვენ უნდა გაითვალისწინოთ წინანდელი პერიოდის გამოცდილება და შეიგნოთ, რომ თქვენ ვერ დაუბრუნდებით ძველს, რომ ბრძოლა ახალ ფაზისში შევიდა და რომ ამ ფაზისში ახალი არის ის, რომ ან ჩვენ მოგვსპობენ საბჭოთა კავშირთან ერთად, ან უნდა დაისვას საკითხი ხელმძღვანელობის თავიდან მოცილების შესახებ". სიტყვა ტერორი არ ყოფილა გამოსროლილი, მაგრამ როცა მე წავიკითხე „ხელმძღვანელობის თავიდან მოცილება", ჩემთვის ცხადი გახდა, თუ რას ფიქრობს ტროცკი.

ვიშინსკი: როგორ შეხვდით წერილს?

რადეკი: დაახლოვებით 1932 წ. სექტემბრის თუ ოქტომბრის დამლევს მივიღე გადაწყვეტილება დავბრუნებოდი ბრძოლის გზას.

ლაპარაკი გვქონდა მე და მრაჩკოვსკის, რომელსაც ვუთხარი: „მე გადავწყვიტე ვიარო თქვენთან ერთად". ჩემის მხრით ვკითხე მას, როგორ აქვთ წარმოდგენილი ბრძოლა და რამდენად შორს წავიდა ზინოვიეველებთან დაახლოვების საქმე.

ვიშინსკი: რა გიპასუხათ მრაჩკოვსკიმ?

რადეკი: მან სავსებით გარკვევით მიპასუხა, რომ ბრძოლა შევიდა ტერორისტულ ფაზაში და ამ ტაქტიკის რეალიზაციისათვის ჩვენ ახლა გავერთიანდით ზინოვიეველებთან და შევუდგებით მოსამზადებელ მუშაობას.

როგორც შემდეგ რადეკი აჩვენებს, მრაჩკოვსკიმ უთხრა მას, რომ ჩავარდნის შემთხვევაში გაერთიანებულ ცენტრს უნდა შეინარჩუნოს რადეკი, პიატაკოვი, სერებრიაკოვი შემდგომში ანტისაბჭოთა ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის.

შემდეგ რადეკი აღიარებს რომ მან კიროვის მოკვლამდე დიდი ხნით ადრე იცოდა ამ თავდასხმისათვის მზადება ზინოვიეველებისა. ასეთსავე თავდასხმას ამზადებდნენ ტროცკისტებიც, ამასთან აქ ფრიად თვალსაჩინო როლს თამაშობდა თვითონ რადეკი, რომელმაც ტერორისტული ჯგუფის მოსაწყობად ლენინგრადში წამოაყენა პრიგოჟინი. მან ისიც იცოდა, რომ ზინოვიეველთა ტერორისტული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ბაკაევი, როგორც ტროცკისტების ორგანიზაციაში მრაჩკოვსკი, მოსკოვში კი რეინგოლდი ხელმძღვანელობდა.

ვიშინსკი: რა იცით თქვენ სხვა ჯგუფების ტერორისტულ საქმიანობაზე?

რადეკი: მე 1934 წელს ვიცოდი, რომ ჩამოყალიბდა ჯგუფი ფრიდლიანდის ხელმძღვანელობით. დრეიცერის მოადგილემ გაევსკიმ მაცნობა, რომ სდგება სერიოზულ ადამიანთა ჯგუფი, რომ იგი ახლა არ იმოქმედებს, არამედ ეს იქნება რეზერვი ჩავარდნის შემთხვევისათვის. პიატაკოვმა მითხრა რომ უკრაინის ცენტრი—მან დაასახელა კოციუბინსკი, გოლუბენკო და, მგონი, ლოგინოვი—ადგენს ტერორისტულ ჯგუფს, რომელიც იმოქმედებს უკრაინის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

რაც შეეხება ციმბირის ჯგუფს, პიატაკოვმა მითხრა, რომ იგი იქ ყალიბდება, ამასთან თითქოს მურალოვის გვარიც დაასახელა.

გარდა ამისა იგი ამბობდა, რომ ტულაში შეიქმნა თუ იქმნება რაღაც ტერორისტული ჯგუფი...

ვიშინსკი: პიატაკოვმა დაგისახელათ გვარები?

რადეკი: მას არ დაუსახელებია ხელმძღვანელთა გვარები, მაგრამ სთქვა, რომ ეს ჯგუფი დაკავშირებულია დიტიატევასთან. გარდა ამისა, გაცილებით უფრო გვიან, 1935 წელს, ვიცოდი, რომ ბელობოროდოვმა შექმნა ჯგუფი დონის-როსტოვში. ვიცოდი აგრეთვე, რომ მდივანმა შეადგინა ჯგუფი. 1935 წელს გავიგე, რომ არსებობდა ზინოვიევის ჯგუფი, ეს იყო ზაკს-გლადნევის ჯგუფი, რომელთანაც მოსკოვში დაკავშირებული იყო ჩემი თანამშრომელი ტიველი.

ვიშინსკი: რა კონკრეტული ფაქტები შეგიძლიანთ დაასახელოთ მემარჯვენეთა ჯგუფთან კავშირის შესახებ?

რადეკი: მე კავშირი მქონდა მხოლოდ ბუხარინთან. ტომსკი ვნახე მხოლოდ 1933 წელს, როდესაც იგი მეტად მწვავე ფორმით ლაპარაკობდა შინაპარტიულ მდგომარეობაზე.

ვიშინსკი: რა ლაპარაკი გქონდათ ბუხარინთან?

რადეკი: თუ ეს ეხება ლაპარაკს ტერორის შესახებ, შემიძლიან კონკრეტულად ჩამოვთვალო. პირველი ლაპარაკი მოხდა 1934 წლის ივნისში თუ ივლისში მას შემდეგ, რაც ბუხარინი გადავიდა სამუშაოდ „იზვესტიის" რედაქციაში. მაშინ ჩვენ ერთმანეთს ველაპარაკეთ, როგორც კონტაქტის დამამყარებელი ორი ცენტრის წევრნი. მე მას ვკითხე: „თქვენ ტერორისტულ გზას დაადექით?" მან მითხრა: „დიახ", როცა მე მას ვკითხე, ვინ ხელმძღვანელობს ამ საქმეს-მეთქი, მან დაასახელა უგლანოვი და თავისთავი, ბუხარინი. ლაპარაკის დროს მან მითხრა, უნდა მოვამზადოთ კადრები აკადემიური ახალგაზრდობიდანო. ტექნიკური და ყოველგვარი სხვა კონკრეტული რამეები არ ყოფილა მოლაპარაკების საგანი ჩვენის მხრით. მრაჩკოვსკი შეხვედრისას ცდილობდა დაესვა ეს კითხვა ბუხარინისათვის, მაგრამ ბუხარინმა მას უპასუხა: „როდესაც შენ ყველა ტერორისტული ორგანიზაციის სარდლად დაგნიშნავენ, მაშინ ყველაფერს გამოგილაგებთ".

ვიშინსკი: შემდეგ რა ლაპარაკი გქონდათ?

რადეკი: შემდგომი ჩვენი ლაპარაკი ეხებოდა კიროვის მოკვლის პოლიტიკურ შედეგებს. ჩვენ იმ რწმენამდე მივედით, რომ ამ მკვლელობამ არ მოგვცა ის შედეგები, როგორის მოლოდინიც შეიძლება ჰქონოდათ მკვლელობის ორგანიზატორებს. მან ვერ გაამართლა თავისთავი, ვერ ჩასცა ლახვარი ც. კ-ს, ვერ გამოიწვია თანაგრძნობა ხალხის მასებში, როგორც ამას ტროცკისტ-ზინოვიეველები ვარაუდობდნენ, არამედ, პირიქით, გააერთიანა ხალხის მასები ც. კ-ის გარშემო, მას მოჰყვა ზინოვიეველებისა და ტროცკისტების დიდი რაოდენობის დაპატიმრება. ჩვენ უკვე მაშინ ვუთხარით ჩვენს თავს: ან ეს აქტი, როგორც შედეგი ცალკეული ტერორის ტაქტიკისა, მოითხოვს ტერორისტული აქციის დამთავრებას, ან იგი მოითხოვს წავიდეთ წინ ჯგუფური ტერორისტული აქტისაკენ. ბუხარინმა მაცნობა, რომ მათთან ცენტრში ბევრი ფიქრობს, რომ ქარაფშუტობა და სულმოკლეობა იქნებოდა კიროვის მოკვლის შედეგთა საფუძველზე საერთოდ უარი გვეთქვა ტერორზე, პირიქით, საჭიროა გადავიდეთ გეგმაშეწონილ, მოფიქრებულ, სერიოზულ ბრძოლაზე, პარტიზანშინიდან—გეგმიან ტერორზე. ამ საკითხზე მე 1935 წლის ივლისში ველაპარაკე ბუხარინსაც, პიატაკოვსაც, სოკოლნიკოვსაც.

ვიშინსკი: როდესაც იმ დასკვნამდე მიხვედით, რომ აუცილებელია ჯგუფურ ტერორზე გადასვლა, მიიღეთ თუ არა რაიმე ზომები, რომ ეს ბრძოლა მოეწყოთ?

რადეკი: მივიღე, 1935 წლის ივლისში ჯერ პიატაკოვის წინაშე, ხოლო შემდეგ ლაპარაკის დროს სოკოლნიკოვის წინაშე დავაყენე საკითხი: განვაგრძობთ ჩვენ ბრძოლას თუ ვახდენთ მის ლიკვიდაციას?

ვიშინსკი: როგორი იყო პასუხი?

რადეკი: პასუხი იყო: „განვაგრძობთ".

შემდგომი დაკითხვისას ირკვევა, რომ ტროცკისტული ცენტრი ამ მიზნით ცდილობდა გაეერთიანებინა ტერორისტული ჯგუფების ხელმძღვანელობა. მათ ხელმძღვანელად ასახელებდნენ დრეიცერს.

ვიშინსკი: ბრალდებულო რადეკ, გააცანით სასამართლოს შინაარსი თქვენი იმ მიმოწერისა ტროცკისთან, რომელიც ეხება, თუ შეიძლება ასე ითქვას, საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

რადეკი: მე მქონდა ტროცკის სამი წერილი: 1934 წლის აპრილში, 1935 წლის დეკემბერში და 1936 წლის იანვარში. 1934 წლის წერილში ტროცკი ასე აყენებდა კითხვას: ძალაუფლების სათავეში ფაშიზმის ჩადგომა გერმანიაში ძირეულად სცვლის მთელს ვითარებას. იგი ნიშნავს ომს უახლოეს პერსპექტივაში, გარდუვალ ომსო. ტროცკის ეჭვი არ ეპარება, რომ ამ ომს მოჰყვება საბჭოთა კავშირის დამარცხება. ეს დამარცხება, სწერდა ის, შექმნის რეალურ ვითარებას ბლოკის ჩადგომისათვის ძალაუფლების სათავეშიო. აქედან მას გამოჰყავდა დასკვნა, რომ ბლოკი დაინტერესებულია შეტაკებათა გამწვავებაში. ტროცკი ამ წერილში მიუთითებდა, რომ მან დაამყარა კონტაქტი შორეულ აღმოსავლეთის ერთერთ სახელმწიფოსთან და შუაევროპის ერთერთ სახელმწიფოსთან, რომ მან ამ სახელმწიფოთა ოფიციოზურ წრეებს აშკარად უთხრა: ბლოკი დგას მათთან გარიგების ნიადაგზე და მზად არის როგორც ეკონომიური, ისე ტერიტორიული ხასიათის მნიშვნელოვან დათმობებზეო. იგი წერილში მოითხოვდა, რათა ჩვენ მოსკოვში გამოგვეყენებინა შესაძლებლობა სათანადო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისათვის იმის დადასტურებისა, რომ ჩვენ ვეთანხმებით მის ამ ნაბიჯებს.

რომმის საშუალებით, რომელიც მაისში საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, მე გავუგზავნე ტროცკის წერილი, სადაც ვაცნობე მისი დირექტივის მიღება და ის, რომ ჩვენ ერთმანეთს შორის შევთანხმდით, რათა ჩვენს ნაბიჯებში აქ არ გავცდეთ უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკებაზე მისი მანდატის ვიზირებას. გარდა ამისა, მე დავსძინე: არა მარტო ჩვენ ოფიციალურად, როგორც ცენტრი, არამედ პირადად მე ვიწონებ იმას, რომ ის ეძებს კონტაქტს უცხო სახელმწიფოებთან-მეთქი.

ვიშინსკი: ეს 1934 წლის მაისში იყო?

რადეკი: ეს იყო 1934 წლის მაისში. 1934 წ. შემოდგომაზე ერთი დიპლომატიური დარბაზობის დროს შუაევროპის სახელმწიფოს ჩემთვის ცნობილი დიპლომატიური წარმომადგენელი მომიჯდა და დამიწყო ლაპარაკი. მან სთქვა: „ჩვენმა ხელმძღვანელებმა (მან ეს უფრო კონკრეტულად სთქვა) იციან, რომ ბატონი ტროცკი ესწრაფის გერმანიასთან დაახლოვებას. ჩვენი ბელადი კითხულობს, რას ნიშნავს ბატონ ტროცკის ეს აზრი. იქნებ, ეს ემიგრანტის ფიქრია, როდესაც მას ძილი გამკრთალი აქვს. ვინ სდგას ამ აზრების უკან".

ცხადი იყო, რომ მე მეკითხებიან ბლოკის დამოკიდებულების შესახებ. მე მას ვუთხარი, რომ რეალურ პოლიტიკოსებს სსრ კავშირში ესმით გერმანია-საბჭოთა კავშირის დაახლოვების მნიშვნელობა და მზად არიან წავიდნენ ამ დაახლოვებისათვის აუცილებელ დათმობებზე. ეს წარმომადგენელი მიხვდა, რომ რაკი მე რეალურ პოლიტიკოსებზე ვლაპარაკობდი, მაშასადამე საბჭოთა კავშირში არიან რეალური პოლიტიკოსები და არარეალური პოლიტიკოსები; არარეალურნი —ეს საბჭოთა მთავრობაა, ხოლო რეალურნი —ეს ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკია. და გასაგები იყო იმის აზრი, რაც მე ვთქვი: თუ ბლოკი სათავეში ჩაუდგება ხელისუფლებას, იგი წავა დათმობებზე, რათა დაუახლოვდეს თქვენს მთავრობას და იმ ქვეყანას, რომელსაც იგი წარმოადგენს. როცა ამ პასუხს ვაძლევდი, მე მესმოდა, რომ ჩავდივარ საბჭოთა კავშირის მოღალატისათვის დაუშვებელ აქტს.

ვიშინსკი: გქონდათ თუ არა თქვენ 1934 წლის აპრილსა და ნოემბერს შუა ტროცკის ამ წერილთან დაკავშირებულ თემებზე ლაპარაკი ცენტრის სხვა წევრებთან.

რადეკი: მე ეს ვაცნობე პიატაკოვს, სოკოლნიკოვს, სერებრიაკოვს.

ვიშინსკი: რა საკითხები იდგა წერილში.

რადეკი: ფაშიზმის გამარჯვება გერმანიაში, იაპონიის აგრესიის გაძლიერება, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამ სახელმწიფოების ომის გარდუვალობა, საბჭოთა კავშირის დამარცხების გარდუვალობა, ბლოკისათვის დათმობებზე წასვლის აუცილებლობა, თუ იგი ძალაუფლების სათავეში მოექცევა.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ დაინტერესებული იყავით ომის დაჩქარებით და დაინტერესებული იყავით იმით, რომ ამ ომში საბჭოთა კავშირი დამარცხებულიყო?

რადეკი: დაინტერესებული ვიყავით დამარცხებით.

პიატაკოვმა, სოკოლნიკოვმა და სერებრიაკოვმა სახელმწიფო ბრალმდებლის კითხვაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ პორაჟენცობასთან, უპასუხეს, რომ ისინი იზიარებდნენ პორაჟენცობის პოზიციას.

ვიშინსკი (მიმართავს რადეკს): თქვენ სთქვით, რომ იყო მეორე წერილიც — 1935 წლის დეკემბერში, გვიამბეთ მის შესახებ.

რადეკი: თუ მანამდის ტროცკი იქ, ხოლო ჩვენ აქ, მოსკოვში, ვლაპარაკობდით ეკონომიური უკანდახევის შესახებ საბჭოთა სახელმწიფოს ბაზაზე, ამ წერილში დასახული იყო ძირითადი მობრუნება. ვინაიდან ჯერ-ერთი, ტროცკი ფიქრობდა, რომ დამარცხების შედეგი იქნება ტერიტორიულ დათმობათა აუცილებლობა და გარკვევით ასახელებდა უკრაინას. მეორე, საქმე შეეხებოდა საბჭოთა კავშირის დანაწილებას. მესამე, ეკონომიური თვალსაზრისით იგი ითვალისწინებდა დამარცხების შემდეგ შედეგებს:

არა მარტო იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტების საკონცესიოდ გაცემა, არამედ კაპიტალისტური ელემენტებისათვის გადაცემაც, კერძო საკუთრებად მიყიდვაც იმ მნიშვნელოვანი ეკონომიური ობიექტებისა, რომელთაც ისინი დასახავენ. ტროცკი ითვალისწინებდა საობლიგაციო სესხებს, ე. ი. უცხოეთის კაპიტალის დაშვებას იმ ქარხნების საექსპლოატაციოდ, რომლებიც ფორმალურად საბჭოთა სახელმწიფოს ხელში დარჩება.

აგრარული პოლიტიკის დარგში იგი სავსებით გარკვევით აყენებდა საკითხს, რომ საჭირო იქნება კოლმეურნეობების დაშლა, და გამოსთქვამდა აზრს, რომ ტრაქტორები და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები გადაეცემოდა ერთპიროვნულ მეურნეებს ახალი კულაკური ფენის ასაღორძინებლად.

ბოლოს, სავსებით აშკარად ისმებოდა საკითხი ქალაქად კერძო კაპიტალის აღორძინების აუცილებლობის შესახებ. ცხადი იყო, რომ საქმე შეეხებოდა კაპიტალიზმის რესტავრაციას.

პოლიტიკურ დარგში ახალი, რასაც ეს წერილი შეიცავდა, იყო ძალაუფლების საკითხის დაყენება. წერილში ტროცკიმ სთქვა: არავითარ დემოკრატიაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მუშათა კლასმა რევოლუციის 18 წელი განვლო. მას ძალიან დიდი მადა აქვს, ეს მუშა კი ნაწილობრივ კერძო ფაბრიკებში უნდა დაბრუნდეს, ნაწილობრივ სახელმწიფო ფაბრიკებში, რომლებიც უცხოეთის კაპიტალთან უმძიმესი კონკურენციის მდგომარეობაში იქნებიან. მაშასადამე, მოხდება მუშათა კლასის მდგომარეობის მკაფრი გაუარესება. სოფლად განახლდება ღარიბი და საშუალო გლეხობის ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ. და მაშინ, რომ გასძლო, საჭირო იქნება მაგარი ხელისუფლება, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ფორმებით იქნება ეს დაფარული. თუ ისტორიული ანალოგიები გნებავთ, ეს იქნება ანალოგია ნაპოლეონ პირველის ძალაუფლებასთან, „ეს იქნება ბონაპარტისტული ძალაუფლება". „ჩაუფიქრდით ამ ანალოგიას", სწერდა ტროცკი. მას შეგნებული ჰქონდა, რომ ბატონ-პატრონი მდგომარეობისა, რომლის მეოხებით ბლოკს შეუძლიან ხელისუფლების სათავეში მოქცევა, იქნება ფაშიზმი, ერთი მხრივ გერმანიის ფაშიზმი და მეორე — შორეული აღმოსავლეთის ქვეყნის სამხედრო ფაშიზმი.

ხოლო ახალ პრაქტიკულ დასკვნებში იყო ის, რომ საჭირო გახდება შეთანხმებულ იქნას სპეციალურად ეს საქმიანობა, რაც მავნებლობას ეხება, იმ პარტნიორთან, რომლის დახმარებით მხოლოდ შეუძლიან ბლოკს სათავეში ჩაუდგეს ხელისუფლებას.

იყო კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ ამ დირექტივაში, სახელდობრ — ფორმულირება, რომ აუცილებელია სსრ კავშირის სოციალური წყობილების შეთანაბრება ფაშისტურ გამარჯვებულ ქვეყნებთან, თუ ჩვენ საერთოდ გვსურს გავძლოთ. აი ეს შეთანაბრების იდეა, რაც კაპიტალიზმის რესტავრაციის ფსევდონიმს წარმოადგენდა, იყო ის სპეციფიური ახალი რამ, რაც ჩვენ ერთბაშად თვალში მოგვხვდა.

ვიშინსკი: მაშასადამე, მოკლედ რომ შევაჯამოთ ამ წერილის შინაარსი, რით გამოიხატება ძირითადი პუნქტები?

რადეკი: ჩვენ ვრჩებოდით 1934 წლის პოზიციებზე, რომ დამარცხება აუცილებელია.

ვიშინსკი: მერე რა დასკვნა გამოდის აქედან?

რადეკი: ამ აუცილებელი დამარცხებიდან გამოდის ის დასკვნა, რომ ჩვენს წინაშე აშკარად დაისვა კაპიტალიზმის რესტავრაციის საკითხი.

ვიშინსკი: მაშასადამე, კაპიტალიზმის ეს რესტავრაცია, რომელსაც ტროცკი უწოდებდა სსრ კავშირის სოციალური წყობილების შეთანხმებას სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან, წარმოდგენილი გქონდათ, როგორც უცხო სახელმწიფოებთან შეთანხმების აუცილებელი შედეგი?

რადეკი: როგორც სსრ კავშირის დამარცხების, მისი სოციალური შედეგების და ამ დამარცხების საფუძველზე შეთანხმების აუცილებელი შედეგი.

ვიშინსკი: შემდეგ?

რადეკი: მესამე პირობა ყველაზე უფრო ახალი იყო. ჩვენთვის — საბჭოთა ხელისუფლების ადგილზე იმის დაყენება, რასაც იგი ბონაპარტისტულ ხელისუფლებას უწოდებდა. ჩვენთვის კი აშკარა იყო, რომ ეს არის ფაშიზმი საკუთარი ფინანსიური კაპიტალის გარეშე, რომელიც ემსახურება უცხო ფინანსიურ კაპიტალს.

ვიშინსკი: მეოთხე პირობა?

რადეკი: მეოთხე — ქვეყნის დაყოფა. გერმანიისათვის განზრახული იყო მიგვეცა უკრაინა; პრიმორიე და პრიამურიე კი — იაპონიისათვის.

ვიშინსკი: რამე სხვა ეკონომიურ დათმობებზე იყო მაშინ ლაპარაკი?

რადეკი: დიახ, გაღრმავებული იყო ის გადაწყვეტილებანი, რომლებზედაც მე უკვე ვილაპარაკე: კონტრიბუციის გადახდა სურსათ-სანოვაგის, ნედლეულისა და ცხიმების მრავალი წლით ნავარაუდევ მოწოდებათა სახით. შემდეგ—თავდაპირველად მან ეს სთქვა უციფრებოდ, ხოლო მერე უფრო გარკვეულად — გამარჯვებული ქვეყნებისათვის საბჭოთა იმპორტში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის განსაზღვრული პროცენტი. ყოველივე ეს ერთად ნიშნავდა ქვეყნის სრულ დამონებას.

ვიშინსკი: სახალინის ნავთზე იყო ლაპარაკი?

რადეკი: იაპონიაზე იყო ლაპარაკი — საჭიროა არა მარტო მივცეთ მას სახალინის ნავთი, არამედ უზრუნველვყოთ იგი ნავთით ამერიკის შეერთებულ შტატებთან ომის შემთხვევაში. აღნიშნული იყო, რომ საჭიროა არავითარი დაბრკოლება არ შევუქმნათ იაპონიის იმპერიალიზმს ჩინეთის დაპყრობაში.

ვიშინსკი: დუნაის ქვეყნების შესახებ?

რადეკი: დუნაისა და ბალკანეთის ქვეყნების შესახებ ტროცკი წერილში ამბობდა, რომ სწარმოებს გერმანიის ფაშიზმის ექსპანსია და ჩვენ არაფრით არ უნდა შევუშალოთ ხელი ამ ფაქტს. ცხადია, საქმე ეხებოდა ჩეხოსლოვაკიასთან ჩვენი ყოველგვარი ისეთი ურთიერთობის შეწყვეტას, რაც ამ ქვეყნისათვის დაცვა იქნებოდა.

ვიშინსკი: ამ წერილში იყო მითითებანი, რომ აუცილებელია მავნებლური, ტერორისტული, დივერსიული საქმიანობის გაფართოება და აქტივიზაცია?

რადეკი: ეს საქმიანობა დაკავშირებული იყო მთელს პროგრამასთან და იგი მიჩნეული იყო, როგორც ხელისუფლების დაპყრობის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი. ომთან დაკავშირებით ლაპარაკი იყო ტროცკისტების მიერ არმიის გახრწნის აუცილებლობაზე.

ვიშინსკი: თავდაცვის მრეწველობის შესახებ არ ყოფილა ლაპარაკი?

რადეკი: ლაპარაკი იყო სპეციალურად. ტროცკისტების დივერსიული საქმიანობა სამხედრო მრეწველობაში შეთანხმებული უნდა იყოს იმ პარტნიორებთან, რომლებთანაც მოხერხდება შეთანხმების დადება, ე. ი. სათანადო უცხო სახელმწიფოთა შტაბებთან.

ვიშინსკი: რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ ხომ არ იყო ლაპარაკი?

რადეკი: ტრანსპორტისთვის არ შეიძლებოდა ყოფილიყო გამონაკლისი.

სახელმწიფო ბრალმდებელი არკვევს ბრალდებულის დამოკიდებულებას ტროცკის 1935 წლის დეკემბრის წერილისადმი და პიატაკოვის მიერ ტროცკისაგან ჩამოტანილი დირექტივებისადმი.

ვიშინსკი: პიატაკოვი გელაპარაკათ თქვენ თავის გამგზავრებაზე ოსლოში?

რადეკი: პიატაკოვის გამგზავრება ჩვენი თათბირის შედეგი იყო. ჩვენ დავრწმუნდით, რომ მე უნდა გამომეყენებინა ჩემთვის სამჯერ გამოგზავნილი მიწვევა ოსლოში სტუდენტობისთვის მოხსენების წასაკითხავად. პიატაკოვს რომ არ ჰქონოდა მივლინება, მე, მქონდა რა ეს ნებართვა, წავიდოდი ამ მოხსენებით ოსლოში, რათა უთუოდ მენახა ტროცკი.

ვიშინსკი: ასე რომ, განზრახული იყო თქვენი გამგზავრება საზღვარგარეთ?

რადეკი: ან ჩემი, ან პიატაკოვისა. და ეს იყო იმ მომენტში, რომელიც ყველა ჩვენთვის შინაგანად ნიშნავდა: ბარიერთან მივედით.

ვწყვეტდით თუ არა ჩვენ საქმიანობას მას შემდეგ, რაც დირექტივა მივიღეთ? არა. მანქანა შემდგომაც ტრიალებდა.

ვიშინსკი: როგორია დასკვნა?

რადეკი: ამიტომ დასკვნა: კაპიტალიზმის რესტავრაცია 1935 წლის ვითარებაში. ისე, ტყუილუბრალოდ, ტროცკის მშვენიერი თვალებისათვის — ქვეყანა უნდა დაუბრუნდეს კაპიტალიზმს. როდესაც მე ამას ვკითხულობდი, ამას განვიცდიდი, როგორც საგიჟეთს. და, ბოლოს, არამცირემნიშვნელოვანი ფაქტი: წინათ კითხვა ასე იდგა: ჩვენ ძალაუფლებისათვის ვიბრძვით, იმიტომ, რომ დარწმუნებული ვართ, შევძლებთ რაღაცა უზრუნველვყოთ ქვეყნისათვის.

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესი

(დასასრული)

ახლა ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ აქ ბატონობდეს უცხოეთის კაპიტალი, რომელიც ჩვენ უფრო ადრე ჩაგვიგდებს ხელში, ვიდრე ძალაუფლებას მოგვცემს. ტროცკის დირექტივა უცხოეთის წრეებთან მავნებლობის შეთანხმების შესახებ ნიშნავდა, რომ ჩვენს ორგანიზაციაში იჭრება უცხო სახელმწიფოთა რეზიდენტურა. ჩვენ ოდნავადაც აღარ ვიყავით ჩვენი ნაბიჯების ბატონ-პატრონები.

ვიშინსკი: რა გადასწყვიტეთ თქვენ?

რადეკი: პირველი სვლა ეს იყო წავსულიყავით პარტიის ც. კ-ში და გაგვეკეთებინა განცხადება, დაგვესახელებინა ყველა პირი. მე ამაზე არ წავედი.

მე კი არ წავსულვარ სახელმწიფო პოლიტსამმართველოში, არამედ მე მომაკითხა სახელმწიფო პოლიტსამმართველომ.

ვიშინსკი: მჭერმეტყველური პასუხია!

რადეკი: ნაღვლიანი პასუხია.

ვიშინსკი: 1934 წელს თქვენ დამარცხების მომხრე იყავით?

რადეკი: მე დამარცხება გარდაუვალად მიმაჩნდა.

ვიშინსკი: 1934 წელს თქვენ დამარცხება გარდაუვალად მიგაჩნდათ. რისი ძალით?

რადეკი: ვფიქრობდი, რომ ქვეყანა ვერ შესძლებდა თავის დაცვას.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ ფიქრობდით, რომ იგი სუსტია?

რადეკი: დიაღ.

ვიშინსკი: მაშასადამე, გამოდიოდით რა ჩვენი ქვეყნის ნავარაუდევი სისუსტიდან, თქვენ ილებდით დამარცხებას?

რადეკი: გარდაუვალად მიმაჩნდა, მივიღე.

ვიშინსკი: 1935 წელს კი ხედავდით, რომ ჩვენი ქვეყანა ძლიერია და ეს არ გამართლდება?

რადეკი: რომ დამარცხება არათუ არ გამართლდება, არამედ იგი არ იქნება, რომ ეს არარეალური პროგრამაა, ამიტომ მე წინააღმდეგი ვიყავი იმ პროგრამისა, რომელიც არარეალურ საფუძვლებს ეყრდნობა.

ვიშინსკი: თქვენ ამბობდით, რომ საკითხის ისეთი დაყენება, როგორიც მოცემული იყო ტროცკის მიერ 1935 წლის დეკემბერს პიატაკოვთან ლაპარაკის დროს და წერილში, ნიშნავდა წინადადებას — ვეღალატნათ სამშობლოსათვის.

რადეკი: დიაღ.

ვიშინსკი: თქვენ აღიარებთ, რომ 1934 წლის ნოემბერში ბატონ...-თან საუბრის ფაქტი — ეს იყო სამშობლოს ღალატი?

რადეკი: მე ვგრძნობდი ამას ლაპარაკის მომენტში და ახლა. ამას ისე ვაფასებ, როგორც მაშინ ვაფასებდი.

ვიშინსკი: როგორც ღალატს?

რადეკი: დიაღ.

ვიშინსკი: რით შეიძლება დამტკიცდეს, რომ ტროცკისაგან 1935 წლის დეკემბერში წერილის მიღების შემდეგ და პიატაკოვთან ლაპარაკის შემდეგ თქვენ არ ეთანხმებოდით იმ გეზს, რომელსაც მანამდის სავსებით და უყოყმანოდ ეთანხმებოდით, გაქვთ თუ არა ასეთი ფაქტები?

რადეკი: არა.

ვიშინსკი: მეტი კითხვები აღარა მაქვს.

○

სხდომა სწყდება საღამოს 6 საათამდე.

გავანადგუროთ სამშობლოს მოღალატენი, ფაშიზმის სისხლიანი ქოფაკები!

სიკვდილი სამშობლოს მოღალატეთ!

მოსკოვი, 24 იანვარი (საქდესი). მრავალრიცხოვანი მიტინგები გაიმართა მოსკოვის კიროვის სახელობის ქარხნის „დინამოს" საამქროებში. ათობით და ასობით მუშები, გაეცნენ რა საბრალდებლო დასკვნის მასალას, უაღრესად აღშფოთებული სიტყვებით გამოხატავდნენ თავიანთ სიძულვილს სამშობლოს დაუძინებელ მტრებისადმი, გამცემლებისადმი, საზიზღარ ტროცკისტებისადმი.

— საზიზღარი ქვეწარმავალნი, — განაცხადა შემდუღებელი საამქროს მუშამ ამხ. ევსტიგნეიკინმა,— მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრები პიატაკოვი, რადეკი, სოკოლნიკოვი, სერებრიაკოვი და სხვა არამზადები ცდილობდნენ მიეყიდნათ ჩვენი სამშობლო ფაშისტებისთვის, შეესუსტებინათ თავდაცვა, აღედგინათ კაპიტალიზმი, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს და ვერასოდეს მოახერხებენ. 170-მილიონიანი ხალხი, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმს აშენებს, უძლეველია.

მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„ლენინ-სტალინის და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის ბუღლვარძლიანი მტრები, ფაშისტი გადაგვარებულნი — ტროცკისტები, რომელთა ხელებიც გასვრილია სერგეი მირონის-ძის კიროვის სისხლით, მუშათა და წითელარმიელთა სისხლით, მიზნად ისახავდნენ, რათა ძალით დაემხოთ საბჭოთა მთავრობა იმ ვარაუდით, რომ ხელში ჩაეგდოთ ხელისუფლება, წაერთმიათ მშრომელთათვის მთელი მათი სოციალისტური მონაპოვარნი, დაებრუნებინათ ფაბრიკა-ქარხნები კაპიტალისტებისთვის, დაებრუნებინათ ხელისუფლება კულაკისთვის. ისინი ცდილობდნენ აღედგინათ საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმი. მათ სურდათ დაემხოთ საბჭოთა მთავრობა, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს და ვერც მოახერხებენ. ვერ გადაახვევინებენ ეს საზიზღარი მოღალატენი ჩვენს სამშობლოს სტალინური გზიდან.

მათი საზიზღარი კონტრრევოლუციური საქმიანობის პასუხად ჩვენ გავაათკეცებთ ჩვენს სიფხიზლეს და უფრო შევამჭიდროვებთ რიგებს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ჩვენი ბელადის და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო, ამხანაგ სტალინისა, ვინც არის ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრების შემოქმედი, ვის სახელსაც უდიდესი სიყვარულით წარმოსთქვამენ საბჭოთა კავშირის ხალხები და მთელი მსოფლიოს ჩაგრული კაცობრიობა.

სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს, კონტრრევოლუციონერ - ტროცკისტებს!"

ფოლადის კედლად აღვიმართოთ სოციალიზმის დასაცავად

მოსკოვი, 24 იანვარი (საქდესი). 24 იანვარს, დღისით მოსკოვის კუიბიშევის სახელობის ელექტროკომბინატის ყველა ქარხანაში შესდგა მიტინგები, რომლებიც მიეძღვნა საბრალდებლო დასკვნისა და ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის დაწყებულ სასამართლო პროცესის მასალების განხილვას. მიტინგებს დაესწრო დაახლოებით 10 ათასი კაცი. მუშები და მოსამსახურენი თავის გამოსვლებში გამოხატავდნენ უღრმეს აღშფოთებას იმ უმაგალითო დანაშაულებათა გამო, რომლებიც სამშობლოს წინაშე ჩაიდინეს გამცემლებმა და მკვლელებმა ტროცკისტთა ბანდიდან — პიატაკოვმა, რადეკმა, სოკოლნიკოვმა, სერებრიაკოვმა და მათმა ხელქვეითებმა.

მიღებულ რეზოლუციებში ელექტროკომბინატის მუშები ერთსულოვნად აცხადებენ:

— გავაძლიეროთ სიფხიზლე! მიწის პირისაგან აღვგავოთ ტროცკისტი ბანდიტები!

უფრო შევამჭიდროოთ ჩვენი რიგები ლენინურ-სტალინური პარტიის გარშემო, უსაზღვროდ საყვარელი ბელადის, მეგობრისა და მასწავლებლის მშობლიური სტალინის გარშემო!

სიკვდილი, სიკვდილი მოვაჭრეებს!

(მოსკოვი, 25 იანვარი, ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

დღევანდელი „პრავდა" ათავსებს მუშების გამოძახილს ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესის შესახებ. „პრავდა" ათავსებს გორლოვკის აზოტ-ტუკის ქარხნის (დონბასი) მუშათა წერილს, ხელმოწერილს 800 მუშის მიერ.

ამ წერილში გორლოვკის ქარხნის მუშები სწერენ:

„ჩვენ ვთხოვთ სსრ კავშირის პროკურორს ამხ. ვიშინსკის წაიკითხოს სასამართლოში, მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე, სახელები ქარხნის საუკეთესო ადამიანებისა, რომელნიც ტროცკისტ - დივერსანტთა ხელით დაიღუპნენ. დაე მთელმა ქვეყანამ იცოდეს, ვინ მოჰკლეს ამ არამზადებმა. აი ყველა დაღუპულთა სია: **ივანე ეგორის-ძე ოუნიევი**, —სტახანოველი, დაბადებული 1902 წ., **ვლადიმერ ანატოლის-ძე იუდინი** — ინჟინერი ინჟინერი, დაბად. 1913 წელს, **ალექსი ფედოტის-ძე კურკინი**, დაბად. 1916 წ., **ირინა ეგორის-ასული სტრელნიკოვა**, — დამკვრელი, დაბად. 1913 წ., **პეტრე ივანეს-ძე მოსიევი** — დამკვრელი, დაბად. 1913 წ. ეს ამხანაგები მოკლულნი არიან, დაჭრილები 10 კაცზე მეტი იყო. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ეს მკვლელობანი ტროცკისტების რატაიჩაკისა და პუშინის საქმე იყო.

ჩვენ ვთხოვთ აგრეთვე ამხ. ვიშინსკის აუწყოს ჩვენს მეგობრებს, რომ, მიუხედავად ტროცკის-დივერსანტთა მიერ მოყენებული უდიდესი ზიანისა, ჩვენ დიდი ხანია აღვადგინეთ ჩვენი ქარხანა. 1936 წლის გეგმა შესრულებულია. იგი დამთავრდა ჯერ კიდევ 1936 წლის ნოემბერში.

○

მოსკოვის ელექტრო-ქარხნის მუშები თავის რეზოლუციაში აცხადებენ:

„უდიდესი აღშფოთების გრძნობით წავიკითხეთ საბრალმდებლო დასკვნა ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის საქმის გამო. უთანხმდებოდნენ რა უცხოეთის დიპლომატებსა და გენერალურ შტაბს, ჰიტლერის მაჩანჩალებს, — მათ სურდათ წაერთმიათ ჩვენთვის დიადი ოქტომბრის ყველა მონაპოვარი და გადაეცათ კაპიტალისტებისათვის სისხლით მოპოვებული სოციალისტური ინდუსტრია, მიეყიდნათ უცხოელი კაპიტალისტებისათვის ჩვენი საუკეთესო ქარხნები.

ხელი ვერ მოგიწევებათ, ბატონო გერმანელო და იაპონელო ფაშისტებო!

პიატაკოვის, რადეკის და სხვათა საზიზღარი ბოროტმოქმედებანი გამომჟღავნებულია. დამნაშავენი ღირსეულ სასჯელს მიიღებენ. საბჭოთა ხალხის რკინის ხელი გაასამტვერებს ამ ფაშისტურ ბუდეს. ისინი ვერ შეარყევენ ჩვენს ძალას, მთლიანობასა და შემჭიდროვებას".

მოსკოვის ავიაქიმის № 1 ქარხნის მუშები თავის რეზოლუციაში აცხადებენ:

„ბრალდებულ პიატაკოვის ჩვენებიდან სჩანს, რომ ტროცკისტულ ბანდას კავშირი ჰქონდა ბუხარინთან და რიკოვთან. ჩვენ მოვითხოვთ გამოძიებულ იქნას ამ მემარჯვენე გარეწართა საქმე და ისინი მიცემულ იქნან სამართალში. ყველა, ვისაც თუნდაც ოდნავი კავშირი აქვს იუდუშკა ტროცკისთან, სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ".

○

მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის მუშებმა თავიანთ საერთო კრებაზე განაცხადეს:

„კაცობრიობის ნაძირალათა საზიზღარი ჯგუფი ცდილობდა მოეწყო თავდასხმა ჩვენს საყვარელ ბელადებზე, ამზადებდა კაპიტალიზმის აღდგენას ჩვენს ქვეყანაში, ღალატობდა და ჰყიდდა ჩვენს სამშობლოს —მშრომელთა უბოროტესი მტრების — გერმანელი ფაშისტების და იაპონიის სამხედრო წრეების სასარგებლოდ. საშინელ დანაშაულთა ეს წრე მოთავებულია, დახვრეტა! ლენინურ შეურიგებლობაზე, სიფხიზლის სტალინურ გაკვეთილებზე აღზრდილი დიადი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება ბოლშევიკური პარტიის გარშემო, მისი ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის გარშემო".

ფაშისტური ბანდა უნდა განადგურდეს

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში და თბილისის, ნავთლუღისა და სხვ. სადგურებზე 24 იანვარს გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებიც მიეძღვნა ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის საქმის გამო საბრალდებლო დასკვნის კითხვასა და განხილვას. მიტინგზე გამოსული მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკნი აღშფოთებითა და ზიზღით სამარცხვინო ბოძზე აკრავენ სამშობლოს საზიზღარ გამცემ, მოღალატე პიატაკოვს, რადეკს, სოკოლნიკოვს, სერებრიაკოვს და სხვა არამზადებს, რომლებსაც დანაშაულზე წაასწრეს.

მიღებულ რეზოლუციებში მიტინგის მონაწილენი პროლეტარულ სასამართლოსაგან ერთხმად მოითხოვენ ფაშიზმის საზიზღარი აგენტების დაუნდობლად დასჯას.

— ამ ნაძირალებმა, მუშათა კლასის საქმის საზიზღარმა მოღალატეებმა ადამიანის სახე დაჰკარგეს, — ამბობს თბილისის ორთქლმავლის დეპოს ზეინკალი — მეხელსაწყოვე ამხ. დეკშნე, — ძაღლებს-ძაღლური სიკვდილი, არავითარი დანდობა მათ, ვინც გაბედა და შეეხო საყვარელ სამშობლოს, ვინც ღვრიდა მებრძოლ წითელარმიელთა სისხლს და მუშებს სწამლავდა შახტებში.

—საბჭოთა კავშირის წყეული მტრები, ფაშისტთა მსახურნი, —ამბობს თბილისის დეპოს მემანქანე ამხ. ავრაამოვი, — გაერთიანდნენ რა კონტრრევოლუციურ ბანდათ, თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობით ცდილობდნენ დეზორგანიზაცია შეეტანათ სარეწაოებში, ქარხნებსა და შახტებში, გაზით სწამლავდნენ მუშებს, კატასტროფებს აწყობდნენ ტრანსპორტზე იმ მიზნით, რომ შეგნებულად გამოეწვიათ მუშათა უკმაყოფილება და ძირი გამოეთხარათ სსრ კავშირის სამხედრო ძლიერებისათვის. ეს მათ არ გამოუვიდათ, მტერს დანაშაულზე წაასწრეს. დამნაშავეთა ბანდა გამომჟღავნებულია და მას პროლეტარული სასამართლო ღირსეულად და სასტიკად დასჯის.

— ჩვენ ახლა, როგორც არასოდეს, გვესაჭიროება რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერება მუშათა კლასის მტრების საბოლოოდ გამომჟღავნებისათვის.

— გამოვამჟღავნოთ უკლებლივ ყველა ტროცკისტი - დივერსანტი, რომლებიც ტრანსპორტზე მუშაობდნენ, — ამბობს მექვაბე ამხ. მიხანაშვილი.

საქვაბე სამქროს მუშათა სახელით ამხ. მიხანაშვილმა იკისრა ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულოს იანვრის გეგმა, გეგმის გადამეტებით მოგვცეს ორი ორთქლმავალი.

○

— უნდა მოისპონ პირისაგან მიწისა აღიგავონ დივერსანტები, ჩვენი აყვავებული სამშობლოს მტრები, — სთქვა ხაშურის საელმავლო დეპოს მრავალრიცხოვან მიტინგზე მემანქანე ამხ. კასაელოშვილმა. საზიზღარი ბანდიტები ანგარიშში მოსტყუვდნენ. ჩვენი სამშობლო მტკიცე და ძლიერია. ჩვენი პარტია მტკიცე და ურყევია. კლასობრივი მტრის გამოლაშქრებას ვუპასუხოთ სტახანოვური მოძრაობის უფრო ძლიერი გაშლით, ახალი საწარმოო გამარჯვებებით. მე ვკისრულობ ვალდებულებას — ამბობს იგი, — ჩემი ელმავალით პერიოდულ გასინჯვებს შორის გავაკეთო 80 ათასი კილომეტრი, არ ვიქონიო არცერთი ავარია, „ფრიადზე" ვისწავლო პოლიტსკოლაში.

ხალხის ყველა გამომჟღავნებულ მტერთა დახვრეტას მოითხოვენ ხაშურის სავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

— ჩვენი პასუხი ფაშიზმის საზიზღარ ნაგაზთა თავდასხმაზე, — ნათქვამია ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში, — იქნება ყველა იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც ამხ. კაგანოვიჩმა დააყენა რკინიგზელთა წინაშე სასელექტორო თათბირზე 1937 წლის 6 იანვარს (საქდესი).

ესპანეთის ფრონტებზე

პარიზი, 24 იანვარი (საქდესი). მადრიდის დაცვის კომიტეტმა გუშინ, 21 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით, გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„ცენტრალურ ფრონტზე, ესკორიალის სექტორში, მეამბოხეთა არტილერია ყუმბარებს უშენდა მთავრობის ჯარების პოზიციებს, მაგრამ მათ ზიანი ვერ მიაყენა. რესპუბლიკელთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა პოზიციებს პინტოსა და ხეტაფეში.

მდინარე ტახოს სამხრეთ სექტორში მთავრობის კავალერიამ მოახდინა მთელი რიგი დაზვერვანი ტალავერა დელ ტახოს მიდამოებში. ბატალიონმა „ელ სოსიალისტამ" მოიგერია მეამბოხეთა გააფთრებული იერიში.

მადრიდის ფრონტზე მეამბოხეთა არტილერია ყუმბარებს უშენდა რესპუბლიკელთა პოზიციებს კაზა დელ კამპოში. ამავე დროს არტილერიამ ყუმბარები დაუშინა დედაქალაქის ცენტრალურ პუნქტებს. მთავრობის ბატარეების ზუსტმა სროლამ აიძულა მეამბოხეთა არტილერია ჩაჩუმებულიყო".

ხეტაფეს ბომბარდირება

ლონდონი, 23 იანვარი (საქდესი). გუშინ რესპუბლიკის 20 თვითმფრინავმა ხეტაფეში მრავალი ყუმბარა ჩაჰყარა და დაანგრია აეროდრომის ნაწილი. როდესაც მეამბოხეებმა თავის დროზე ხეტაფე აიღეს, მათ სრულიად არ უცდიათ გაემაგრებინათ ეს პუნქტი, სანამ რესპუბლიკელებმა ლოს ანხელესის სიმაღლეზე იერიში არ მიიტანეს. რესპუბლიკელთა გუშინდელ საჰაერო თავდასხმას მიზნად ჰქონდა ხელი შეეშალა მეამბოხეებისათვის გამაგრებულიყვნენ ამ რაიონში.

მეამბოხეებმა მადრიდის მახლობლად თავი მოუყარეს კავალერიას. რესპუბლიკის თვითმფრინავებმა მას ყუმბარები დაუშინეს და, როგორც ფიქრობენ, დიდი ზარალი მიაყენეს. რესპუბლიკის ჯარებმა რამდენადმე წინ წაიწიეს დასავლეთის პარკში. მათი ახალი პოზიციები აადვილებს ოპერაციებს მეამბოხეთა წინააღმდეგ საუნივერსიტეტო უბანში.

ვალენსია, 23 იანვარი (საქდესი). მთავრობის ესკადრილიამ ყუმბარა ჩაჰყარა მეამბოხეთა პოზიციებზე ხეტაფეში, რის შემდეგ ყუმბარები დაუშინა აეროდრომზე მყოფ 11 თვითმფრინავს. მეორე ესკადრილიამ ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა საწყობს კალამოჩაში (ტერუელის რაიონში) და სატვირთო მანქანების კოლონას.

რესპუბლიკის ოთხმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა კადიქსის ნავსადგურს, სადაც იმყოფებოდა ზევიო გემი. ერთი მათგანი ჩაძირულ იქნა. ყველა თვითმფრინავი უვნებლად დაბრუნდა თავის ბაზაზე.

მეამბოხეთა ჯარები ძარცვავენ სახლებს

ვალენსია, 23 იანვარი (საქდესი). მონტოროდან (კორდოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით) გამოქცეულნი გადმოგვცემენ, რომ მეამბოხეთა ჯარები ძარცვავენ სახლებს და ნაძარცვს მცირე ფასად ჰყიდიან გადამყიდველებზე, რომელნიც თან დასდევენ მეამბოხეთა კოლონებს.

მეამბოხენი გერმანიიდან და იტალიდან მოელიან დამხმარე ძალებს

ბარსელონა, 21 იანვარი (საქდესი). ფაბრის სააგენტო იუწყება: მადრიდში მიღებული ცნობები მოწმობს, რომ უკანასკნელი დღეების ბრძოლებით დაუძლურებული მეამბოხენი ახდენენ თავისი არმიის რეორგანიზაციას და მოელიან დამხმარე ძალების ჩასვლას გერმანიიდან და იტალიიდან.

მალაგის ფრონტზე შემჩნეულია უდიდესი აღტყინება მოსახლეობასა და მებრძოლებს შორის. პოლკოვნიკი ვილიალბა ხელმძღვანელობს თავდაცვის სამუშაოებს და ტრანშეების გასათხრელად მობილიზებულ მუშებს.

◇

ასანიას სიტყვა ვალენსიაში

ვალენსია, 23 იანვარი (საქდესი). მუნიციპალიტეტის შენობაში გაიმართა დარბაზობა რესპუბლიკის პრეზიდენტის ასანიას ჩამოსვლის აღსანიშნავად. დაესწრნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კაბალიერო და კაბინეტის მთელი შემადგენლობა, დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირ- და მექსიკის ელჩები, საზღვაო და საავიაციო ატაშეები, კორტესების თავმჯდომარე ბარიოსი, დეპუტატები, გენერალური შტაბის წარმომადგენელნი და რესპუბლიკური ავიაციისა და ფლოტის დელეგაციები. დაესწრნენ აგრეთვე უცხოელი სტუმრები და მათ შორის ბელგიის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე გიუსმანსი, უცხოეთის და ადგილობრივი პრესის წარმომადგენელნი.

ასანიამ წარმოსთქვა სიტყვა. უცხოეთის ინტერვენცია ესპანეთში, აღნიშნა ასანიამ, ემუქრება არა მარტო არსებულ რეჟიმს, არამედ აგრეთვე ესპანეთის დამოუკიდებლობას. ესპანეთის გეოგრაფიული მდგომარეობა მნიშვნელოვანი ფაქტორია დასავლეთ ევროპის ძალთა წონასწორობაში. იმისთვის, რომ ბოლო მოუღოს ომს, ესპანეთის მთავრობა მზადაა გაიღოს მსხვერპლი, როგორც ეს მან ცხადჰყო, დათანხმდა რა საერთაშორისო კონტროლზე, მაგრამ იგი არ დაუშვებს დისკუსიას მთავრობის სუვერენობის და კანონიერების შესახებ.

შემდეგ ასანიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ესპანეთში კომუნიზმისათვის არ სწარმოებს ბრძოლა. ყველა პარტია და პროფესიული ორგანიზაციები იბრძვიან საერთო მიზნისთვის, ესპანეთის დამოუკიდებლობისათვის, თავისუფალი მოქალაქის ადამიანური ღირსებისათვის.

შეეხო რა საშინაო პოლიტიკის საკითხებს, ასანიამ განაცხადა, რომ ესპანეთის მთავრობის პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს მომენტის ყველა მოთხოვნას. საჭიროა კარგად ორგანიზებული რეგულარული არმიის შექმნა.

შემდეგ ასანიამ მოუწოდა მხარი დაუჭირონ სახალხო ფრონტის პარტიათა ერთიანობას. ეს ერთიანობა უნდა გაგრძელდეს სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგაც.

◇

მთავრობის კრიზისი იაპონიაში

ტოკიო, 22 იანვარი. (საქდესი). ტოკიოს საფონდო ბირჟა პოლიტიკურ კრიზისს ყველა ფასიანი ქაღალდის კურსის 3-4 პუნქტით დაცემით გამოეხმაურა. ემჩნევა შემდეგი დაცემის ტენდენცია.

ფაშისტურ ორგანიზაციათა ჯგუფმა, ფაშისტურ ტერორისტული ორგანიზაციის სეისანტოს მეთაურობით, დღეს გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც ურჩევს ხიროტას მთავრობას დაუყოვნებლივ გადადგეს, „ვინაიდან აშკარაა, რომ მან არ აქვს უნარი თავი გაართვას შექმნილ მდგომარეობას". რეზოლუცია ჩააბარეს ხიროტას, სამხედრო მინისტრ ტერაუცის და საზღვაო მინისტრ ნაგანოს.

სამხედრო წრეები, გაზეთების ცნობით, მეტად მკაცრად აკრიტიკებენ პოლიტიკურ პარტიებს და აკისრებენ მათ პასუხისმგებლობას შექმნილი დაძაბული მდგომარეობისათვის.

ხიროტას კაბინეტს დაევალა დარჩეს ხელისუფლების სათავეში

ტოკიო, 23 იანვარი. (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება; იმპერატორმა დაავალა ხიროტას კაბინეტს დარჩეს ხელისუფლების სათავეში ახალი კაბინეტის ჩამოყალიბებამდე.

◇

არავითარი დანდობა ხალხის მტრებს

ქუთაისი, 25 იანვარი (საქდესი). როგორც კი მიღებულ იქნა სსრ კავშირის პროკურატურის ცნობა ტროცკისტ ჯაშუშთა, დივერსანტთა, კაპიტალიზმის რესტავრატორთა საზიზღარი ხროვის სამართალში მიცემის შესახებ, ქუთაისის ყველა საწარმოში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები და კრებები.

— ეს ნაძირალნი, პირსისხლიანი ფაშიზმის დაქირავებულნი ჰყიდდნენ მშრომელთა სამშობლოს, მათ მოინდომეს თავიანთი ბინძური ხელი აღემართათ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, ისინი ძირს უთხრიდნენ ჩვენი დიადი სამშობლოს სამხედრო ძლიერებას—აღშფოთებით ამბობდნენ მიტინგზე გამოსული მუშები.

— არავითარი დანდობა და შეწყნარება მშრომელთა და სამშობლოს მტრებს — აცხადებენ ლიტოპონის ქარხნის მშენებლობის მუშები. — ჩვენ უფრო შევამჭიდროვებთ პარტიის, მშობლიური სტალინის გარშემო, თვალის ჩინივით გავუფრთხილდებით ჩვენ ბელადთა სიცოცხლეს.

— აბრეშუმის კომბინატის მიტინგზე გამოვიდნენ სტახანოველები— ამხ. ახალაძე, კურცხალია, შოთაძე, სეფიაშვილი.

მიღებულ რეზოლუციაში კომბინატის მუშები და მუშა-ქალები მოითხოვენ აღიგავონ პირისაგან მიწისა ფაშიზმის წყეული აგენტები.

— უნდა მოისპონ ფაშისტი ბანდიტები, — მოითხოვენ საკონსერვო ქარხნის მუშები და მუშა-ქალები.

მრავალრიცხოვანი მიტინგები გაიმართა აგრეთვე სამკერვალო ფაბრიკაში, შამპანურის ქარხანასა და მაუდის ფაბრიკაში.

ორდენოსანი საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრის — ქუთაისის მშრომელნი პირობას აძლევენ პარტიასა და მთავრობას, მშრომელთა საყვარელ ბელადსა და მეგობარს ამხანაგ სტალინს, რომ, კიდევ უფრო გააძლიერებენ რევოლუციურ სიფხიზლეს, იბრძოლებენ მეორე სტახანოვური წლის საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მთავრობის კრიზისი იაპონიაში და სამხედრო წრეები

ტოკიო, 23 იანვარი. (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით, სამხედრო წრეებში აცხადებენ, რომ „სურთ შეიქმნეს ისეთი პირებისაგან შემდგარი ძლიერი მთავრობა, რომლებიც სწორად აფასებენ სერიოზულ საერთაშორისო მდგომარეობას და რომელთაც განზრახვა აქვთ გაბედულად განახორციელონ საყოველთაო განახლება ქვეყნის შიგნით". სამხედრო წრეებში, განაგრძობს სააგენტო, კატეგორიულად უარს ჰყოფენ ყოველგვარ კომპრომისს პოლიტიკურ პარტიებთან, „რომლების შეფასება დღევანდელი მდგომარეობისა მკვეთრად განსხვავდება არმიის შეფასებისაგან".

როგორც სააგენტო აცხადებს, სამხედრო წრეებში შემდგომ აღნიშნავენ, რომ, თუ შესდგება ისეთი კაბინეტი, „რომელიც ითანამშრომლებს ამ პოლიტიკურ პარტიებთან, ან ისეთი კაბინეტი რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამ პოლიტიკური პარტიების წევრები, — არმია თავს შეიკავებს და სამხედრო მინისტრს არ გაგზავნის ასეთ კაბინეტში".

იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა გადასწყვიტა გადადგეს

ტოკიო, 23 იანვარი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ დღეს სასწრაფო სხდომაზე მინისტრთა კაბინეტმა გადასწყვიტა გადადგეს.

პოლიტიკურ წრეებში უეჭველად მიაჩნიათ, რომ გადადგომა შედეგია სამხედრო მინისტრ ტერაუცის უარისა — წავიდეს რაიმე კომპრომისზე კაბინეტთან და პოლიტიკურ პარტიებთან.

იაპონიის მთავრობის შედგენა დაევალა უგაკის

ტოკიო, 24 იანვარი. (საქდესი). უგაკი ჩამოვიდა ღამის 1 საათზე (ადგილობრივი დროით). იგი დაუყოვნებლივ მიიღო იმპერატორმა, რომელმაც მას ახალი მთავრობის შედგენა დავალა. უგაკიმ დავალება მიიღო და ხვალ შეუდგება მოლაპარაკებას პოლიტიკურ მოღვაწეებთან.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

23 იანვარს იაპონიის მოსკოვის საელჩოს მრჩეველმა ბ-ნმა საკომ ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აღმოსავლეთის მე-2 განყოფილების გამგე ამხ. ბ. ი. კოზლოვსკი და განუცხადა მას პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა მესაზღვრე ხელისუფლების წარმომადგენლებმა გასინჯეს 19 იანვარს ვლადივოსტოკში ჩასული ორი იაპონური გემი „საიბერია მარუ" და „კორგონზან მარუ".

ამხ. კოზლოვსკიმ უარჰყო პროტესტი და განაცხადა: იაპონიის მთავრობას არავითარი საფუძველი არა აქვს არც პროტესტისათვის, არც იმისათვის, რომ უჩიოდეს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების მოქმედებას, რამდენადაც იაპონიის ხელისუფალნი იაპონიის ნავსადგურებში მყოფი საბჭოთა გემებისადმი მიჰმართავენ, ამასთან სრულიად უსაბაბოდ და უსაფუძვლოდ, გაცილებით უფრო შემზღუდველ ზომებს, რომლებსაც აშკარად სადისკრიმინაციო ხასიათი აქვთ. ამხ. კოზლოვსკიმ შემდეგ მიუთითა ბ-ნ საკოს: იაპონიის მთავრობის პროტესტი იმ შემთხვევაში მით უფრო უადგილოა, რომ „საიბერია მარუს" გასინჯვის შედეგად აღმოჩენილ იქნა მასალა, რომელიც კაპიტანისა და ეკიპაჟის ზოგიერთ წევრის უკანონო მოქმედებას ამხილებსო.

◇

ბანდიტები დახვრიტეს

კუიბიშევი, 24 იანვარი (საქდესი). („პრავდის" კორესპ.). სრულიად-რუსეთის ცაკმა არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ა. როზოვისა, ვ. ფედოტოვისა, ჩ. ეშჩერკინისა შეწყალების შესახებ, რომელთაც დახვრეტა ჰქონდათ მისჯილი საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის დელეგატის — ქალის მ. ვ. პრონინას მკვლელობის საქმის გამო. განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

— 26 იანვარს აგიტატორთა კურსების მეცადინეობა (ყველა ჯგუფი).

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სტალინური კონსტიტუცია და მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცება". საღამოს 7 საათზე.

— **თბილისის სახ. უნივერსიტეტის** პარტიულ კომიტეტში სასწრაფოდ უნდა გამოცხადნენ ვასილ კოკოლაშვილი და სურენ მოსესოვი.

○

— **დღეს, საღამოს 7 საათზე** ლენინის რაიკომის სხდომების დარბაზში მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის **ლენინის რაიკომის** მორიგი მე-18 პლენუმი შემდეგი დღისწესრიგით.

1. საქ. კ. პ. (ბ)-ში ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) 1936 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა (მომხსენებლები: ამხ. კოპლატაძე, ტატანაშვილი და ჯლანტიაშვილი).

2. კომუნისტთა ავანგარდული როლის შესახებ წარმოებაში (ავტოსარემონტო ქარხნის და 26 კომუნარის სახელობის ქარხნის პარტკომების მდივნების ამხ. კარაპეტიანისა და კოქლაძის მოხსენებები.

— **დღეს, საღამოს 7 საათზე** რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ქალაქ თბილისის კომკავშირის აქტივისათვის შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და პრესის განყოფილების გამგის ამხ. ე. ბედიას მოხსენება თემაზე: **„პრაღის 1912 წლის კონფერენცია და მისი მნიშვნელობა ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში"**.

— **კიროვის პარტრაიკომი** იუწყება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე მე-109 სკოლის შენობაში (თოდრიას ქ. № 23) გაიმართება პროპაგანდისტთა მორიგი სემინარი თემაზე: „ტროცკისტ-ზინოვიეველი კონტრრევოლუციონერები — კაპიტალიზმის რესტავრატორები".

— **ორჯონიკიძის რაიკომის** კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება იუწყება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტში გაიმართება პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე: „საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია".

— **26 კომუნარის რაიკომის პარტკაბინეტში** დღეს, საღამოს 7 საათზე, პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის შესდგება პროფ. დუბროვსკის ლექცია თემაზე: „საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია".

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

26-I წარ. № 89	იცკა რიჟინაშვილი
27-I წარ. № 90	იცკა რიჟინაშვილი

სახცირკი
ტელ. 3-11-44

დღეს, 26 იანვარს
უდიდესი საბ. ატრაქციონის
კიოს
და მისი 25 ასისტენტის
პროგრამის მე-2 ციკლი.
ახალი პროგრამა
აგრეთვე მთელი დასი,
ახალი გასტროლიორები.
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
სალარო 12-2 ს. და 5 ს-დან.

30-I წარმ. დღისით კიოს ბენეფ.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6, 7-40, 9-20, 11	ახალი ხმოვანი ფილმი **უმზითვო პატარძალი** რეჟ. — ი. პროტოზანოვი.
დამკვრელი 6-30, 8, 9-30	სასპორტო კომედია **მეკარე**
კომკავშირელი 6-30,8-30,10-3	ხმოვანი ფანტასტიური ფილმი **სენსაციის დაღუპვა**
რ. ლუქსემბ. დღით და საღ 6-30,8-30,10-3	მხატვრ. ხმოვ. ფილმი **პატიმრები**
26 კომ. სახ. 6. 7-30, 9, 10-30	ხმოვ. დოკუმენტალური ფილმი **დარტყმით დარტყმაზე**
ახალი ამბები 6-30	საბჭ. ხელოვნება № 6, ხმოვ. ჟურნ. № 57 და 58.

ლენინის ორდენის რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრი

27, 28, 29 და 30 იანვარს პრემიერა

ზ. მდივანი
აღკაზარ
დრამა 4 მოქმედებად და 9 სურ.თად.
დადგმა დ. ალექსიძისა.
მხატვარი დ. თავაძე.
მუსიკა ივ. გოკიელისა.
დირიჟორი ვ. გეჯაძე.
კოსტუმები ს. თევზაძისა.
ტიპაჟის მხატ., რეჟ. თანაშემწე გ. ზაქურაძე.
ქორეოგრაფი ლიტვინენკო.

22, 23, 24 და 26 იანვარს გენერალური რეპეტიციების გამო გაცდენილი მუდმივი ბილეთების ტალონები გამოდგება შემდეგისათვის. დღეები ცალკე იქნება გამოცხადებული. 27 იანვრის პრემიერაზე ბილეთები გამოდგება მხოლოდ ამ რიცხვის თარიღით. თეატრის სალაროში აღებული 26 იანვრის ბილეთები უნდა შეიცვალოს იქვე 27 იანვრის ბილეთებზე.
სალარო ღიაა 12 საათიდან საღ 8 საათ. და 30 წუთ-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

2-1 7

განსახკომის უმაღლეს სასწავლებელთათვის
მოსამზადებელ კურსებზე
გრძელდება განცხადებების მიღება
დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
საბჭოს ქ. № 75, მე-29 სკოლა. 16734

საქართველოს ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი
ამით აცხადებს რომ 1937 წლის 17 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე, ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის აუდიტორიუმში დანიშნულია კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისიის საჯარო სხდომა, რომელზედაც ქვემოთ დასახელებული ექიმები დაიცავენ დისერტაციებს სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.
ექ. კამალოვი— „ფლებოტომუსების ბიოლოგია საქართველოში". ოფიციალური ოპონენტები არიან პროფ. კალანდაძე და პროფ. კანდელაკი.
ექ. კეიზულიხუსი— „მალარიის სეროდიაგნოსტიკა", ოფიციალური ოპონენტები—პროფ. ვლ. ვორონინი და პროფ. კანდელაკი.
მსურველთ წინასწარ შეუძლიათ გაეცნონ დისერტაციებს ინსტიტუტის მდივანთან (ლუნაჩარსკის ქ., № 12).
14
დირექცია.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67. სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის - 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოსი — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, ღამის რედაქტორის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. №68.

მთავლიტის რწმუნებული ა—8188.